# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 აპრილი, 2012 წელი.

№74 (6951)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ნიანგი და ელიტური კორუფცია



③

## 26 მაისი – ხარახოებში



რეზინის შტამპად ქცეული პარლამენტისთვის მართლაც არაფერია შეუძლებელი?

②

## ქვეყნის გადარჩენის ძიებაში გამოსავალი თქვენი ნებაყოფლობითი გადადგომა იქნება!

④

მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

## გიული ხანუმს სიმბოლურ ერთ ლარად ბათუმში ქონება გადაეცა



②

## ქვეყანას უნდა მართავდეს ხელისუფლება, ხელისუფლებას – ხალხი, ხალხს კი – ზნეობა და ინტელექტი

⑧

## ავთანდილ არაბული: მეცნიერნი და ხელოვანნი ურთულეს ვითარებაშიც კი ვაიპოლიტიკოსების მიერ დანგრეულ ხიდებს ამთელებენ

⑨

## 300 ლირად გაყიდული ქართველები

⑪

## თურქეთში თურქაძემ იყოჩაღა

⑩

## კვირაძალს საკითხავი





⑦

ერიჯა!

# 26 მაისი — ხარაჩოებში

## რეზინის შტამპად ქცეული პარლამენტისთვის მართლაც არაფერია შეუძლებელი?

**ეს ფოტო რამდენიმე დღის წინათ არის გადაღებული და მასზე კარგად ჩანს, რომ ქუთაისის ჯერარნახული პარლამენტის შენობას დამთავრებამდე ძალიან ბევრი უკლია. შენობას არა აქვს არც სახურავი, არც კარ-ფანჯარა და, როგორც ჩანს, არანაირი კომუნიკაცია.**

**მიუხედავად ამისა, 26 მაისს პარლამენტის სხდომა ამ შენობაში გაიმართება. ასეთია პრეზიდენტის დაპირება და საპარლამენტო უმრავლესობას აზრად არ მოსვლია, რომ მისთვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწია.**

**შეგახსენებთ, რომ პარლამენტი რეგლამენტსაც კი ცვლის იმისთვის, რომ 26 მაისს ხარაჩოებში სხდომის ჩატარება შეძლოს.**

როგორც მშენებლები ამბობენ, ამ შენობის დასრულებას 24-საათიან სამუშაო პირობებშიც კი ერთ თვეზე გაცილებით მეტი სჭირდება. თანაც ეს, რაც გარედან ჩანს. შიგნით კი, როგორც მშენებლები ამბობენ, გაცილებით მძიმე სურათი იქნება.

საპარლამენტო კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ პრეზიდენტთან უმრავლესობის ბოლო შეხვედრაზე სააკაშვილს ამ თემაზეც ულაპარაკია და მოუთხოვია, რომ მისი დაპირება, რომელიც 26 მაისს სხდომის ქუთაისის პარლამენტში ჩატარებას ეხება, აუცილებლად უნდა შესრულდეს. ჩატარება მიაჩნია და უმრავლესობაც მზად არის, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თუნდაც საკუთარ ღირსებად, საკუთარ პრეზიდენტს ეს სურვილი შეუსრულონ.

ის, რომ ერთ თვეში ამ შენობის დამთავრება შეუძლებელი იქნება, ცხადია და უმრავლესობასაც ძალიან კარგად ესმის. ამიტომაც გადაუწყვეტიათ, რომ როგორმე სხდომათა დარბაზი დაამთავრონ ისე, რომ წვიმიანი ამინდი რომ იყოს, არ დასველდნენ. მაგრამ დარბაზში რადიოფიცირების იმ სისტემის გაყვანას, რაც დღევანდელ პარლამენტშია, საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და ცხადია, დაუმთავრებელ შენობაში მისი გაყვანა ვერანაირად ვერ მოხერხდება. ამიტომაც სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოძრავი მიკროფონით სარგებლობა მოუწევთ.

მართალია, ეს დეპუტატებს გარკვეულ უხერხულობას შეუქმნის, მაგრამ პრეზიდენტს სათქმელი მაინც ექნება, ჩვენს მტრებს ეგონათ, სხდომას ვერ ჩავატარებდით, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ მივართვითო.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ სესიაზე, როდესაც რეგლამენტში იმ ცვლილების შეტანის საკითხი განიხილებოდა, რომელიც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, პარლამენტის სხდომა ქუთაისში მაისშივე გამართოს, ჯონ-



დი ბაღათურია ამ ინიციატივას საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდა და ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ „ერთი კაცის ახირების გამო პარლამენტი რეზინის შტამპად არ ქცეულიყო". მერე კი ისიც თქვა, სხდომის ჩატარება იმად მაინც ღირს, რომ იქ ჟურნალისტები წამოვლენ და საკუთარი თვალით ნახავენ, ეს მშენებლობა რა ეტაპზეა და იქ რა კეთდებაო.

ისე, პრეზიდენტმა ქვეყნის გამთლიანების პირობაც დადო, თანაც, სულ მცირე, ორჯერ, პრეზიდენტის ორივე ინაუგურაციისას და იქნებ, პარლამენტის სხდომის ქუთაისში ჩატარების პირობის შესრულებას ამ პირობის შესრულება სჯობდა. ან თუნდაც იმ პირობისა, — რომ, როგორც მიხეილ სააკაშვილმა თქვა, მთავრობის წევრები და, მათ შორის პრეზიდენტი რიგითი მოქალაქეების მსგავსად იცხოვრებდნენ და საკუთარ თავს არანაირ განსაკუთრებულ პრივილეგიებს არ მიანიჭებდნენ!

მაგრამ სააკაშვილს ქვეყნისთვის ამაზე მნიშვნელოვნად 26 მაისს სხდომის ქუთაისის პარლამენტში

**ჟურნალისტებისთვის კი (რა თქმა უნდა, არა ნაციონალური ტელეარხების ჟურნალისტებისთვის), როგორც ჩანს, მართლაც საინტერესო სამუშაო იქნება.**

**თეონა ხარაბაძე**

ინფორმაცია

## ბურჯანაძის „ქართულ ოცნებაში" გაწევრების საკითხი არ განიხილება

**„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის „ქართულ ოცნებაში" გაწევრების საკითხი არ განიხილება, — ამის შესახებ „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა, კოალიცია „ქართული ოცნების" წევრმა დავით ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.**

**მისი თქმით, „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბურჯანაძის მიმართ.**

**„შესაძლოა, ბურჯანაძესთან ურთიერთობის რაღაც ფორმა მოიძებნოს, თუმცა კოალიციაში მისი ყოფნის საკითხი არ განიხილება", — აღნიშნა ბერძენიშვილმა.**

**„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერმა გოგი თოფაძემ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ის კოალიციის ხელმძღვანელებთან „ქართულ ოცნებაში" ნინო ბურჯანაძის გაწევრების საკითხს დასვამდა. თავად „მრეწველები" კოალიციაში რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად გაწევრდნენ.**

გაუტიეს!

# გიული ხანუმს სიმბოლურ ერთ ლარად ბათუმში ქონება გადაეცა

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" 2011 წლის განმავლობაში აჭარის ა/რ მთავრობის მიერ სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გასხვისებული ქონებით დაინტერესდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ გასულ წელს აჭარის მთავრობამ 52 ობიექტი გაასხვისა პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად.**

საკითხის კვლევისას გამოიკვეთა უცნობი უცხოური კომპანიებისათვის ქონების სიმბოლურ ფასად გასხვისების ტენდენცია. უცხოეთში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საქართველოში ქონების შესაძენად, ადგილზე რეგისტრაცია ესაჭიროება. შესაბამისად, ისინი რეგისტრირდებიან საქართველოში, მაგრამ ხელშეკრულების დადებამდე რამდენიმე დღით ადრე. აქედან გამომდინარე, ძნელია შემოწმდეს რამდენად სანდოა აღნიშნული კომპანიები, ასევე ძნელია მონიტორინგი გავუწიოთ ფინანსების წარმომავლობას, რადგან ჩვენ მოგვეპოვება ინფორმაცია მხოლოდ ამ იურიდიული პირების და არა თვითონ მფლობელების შესახებ.

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე:

1. 2011 წლის 18 თებერვალს შპს „ADOG GEORGIA"-ს ერთ ლარად გადაეცა 1621 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ინვესტორმა 40 თვის განმავლობაში 22-სართულიანი სასტუმრო კომპლექსი „კუბიკ თაუერი" უნდა ააშენოს. სასტუმრო მინიმუმ 100 ნომრისაგან უნდა შედგებოდეს და ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სულ მცირე 100 ადამიანი დაასაქმოს.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, შპს „ADOG GEORGIA", 2010 წლის 16 სექტემბერს ქ. ბათუმში დარეგისტრირდა და მის დირექტორად მიხეილ ძოძუაშვილია მოხსენიებული. შპს-ს 100%-იან წილს აზერბაიჯანის მოქალაქე მუსა სულეიმანოვი ფლობს, რომლის შესახებაც ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

2. 2011 წლის 24 თებერვალს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად (ერთი ლარიძ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში 1,6 ჰა მიწის ნაკვეთი და 1133 კვ.მ შენობა-ნაგებობა გაასხვისა. აღნიშნული ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 365 000 ლარს შეადგენდა. ინვესტორი თურქული კომპანია შპს „ბაქარაა", რომელმაც ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მილიონიანი ინვესტიცია უნდა განახორციელოს, დაასაქმოს საქართველოს არანაკლებ 60 მოქალაქე და ააშენოს პირუტყვის დაკვლის, დამუშავებისა და დაფასოების საწარმო.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ბაქარა" 2011 წლის 23 თებერვალს, ხელშეკრულების დადებამდე ერთი დღით ადრეა რეგისტრირებული.

ნიშანდობლივია, რომ ინვესტორმა რამდენჯერმე დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, მაგრამ აჭარის ა/რ მთავრობამ, ხელშეკრულების შეწყვეტის ნაცვლად, ვადები გაუგრძელა. ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 20 თებერვლისთვის ობიექტი ექსპლუატაციაში უნდა იყოს შესული. ფოტო, რომელიც 2012 წლის 11 აპრილსაა გადაღებული, ცხადყოფს, რომ საწარმო ჯერ არ ფუნქციონირებს.

**3. 2011 წლის 5 დეკემბერს, აჭარის მთავრობამ ჯავახიშვილის 5-ში (საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა) მდებარე 1556 კვ.მ ტერიტორია პრეზიდენტის დედის გიული ალასანიას მფლობელობაში არსებულ „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას" სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მიჰყიდა. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა 500 000 ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და 12 თვეში დაამთავროს სკოლის მშენებლობა.**

**ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, ირკვევა, რომ ხელშეკრულების თავდაპირველ ვერსიაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 150-დან 60-მდე, ასევე შემცირდა დასასაქმებელ მოქალაქეთა რიცხვი 95-დან 30-მდე. გარდა ამისა, სიმბოლურ ფასად გადაეცათ საჯარო რეესტრის სარგებლობაში რიცხული ყოფილი ინვენტარი (ოდენობა: 278 ერთეული, ღირებულება: 27 672 ლარი).**

4. ერთ ლარად გასხვისებული ქონების სიას აგრძელებს თურქული კომპანია „მერსინ ტურიზმისათვის" 2011 წლის 17 ნოემბერს მიყიდული შენობა-ნაგებობა გოგებაშვილის ქუჩაზე (სანაოსნოს ყოფილი შენობაძ. თვითონ შენობა 4706 კვ.მ. და მასზე მიმაგრებულია 5196კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზაციო ღირებულება 4 029 848 ლარს შეადგენდა.

ინვესტორმა უნდა განახორციელოს გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე შენობა-ნაგებობის ფასადის რეაბილიტაცია და შავშეთის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. 2012 წლის 1 დეკემბრამდე რეაბილიტირებულ შენობაში აამოქმედოს სასტუმრო კომპლექსი, ხოლო თავისუფალ მიწის ნაკვეთზე დაიწყოს 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეიყვანოს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ივნისისა.



აღსანიშნავია, რომ შპს „მერსინ ტურიზმი" 2011 წლის 14 ნოემბერს დაფუძნდა, ხოლო 3 დღეში, 17 ნოემბერს, აჭარის მთავრობამ მასთან ხელშეკრულება გააფორმა. ინვესტორების შესახებ მხოლოდ ის ინფორმაცია მოგვეპოვება, რომ კომპანიის დამაარსებლები თურქეთის მოქალაქეები არიან.

5. 2011 წლის 18 ივლისს შპს „LEGI"-ს 1 ლარად გადაეცა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში 32 382 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 202 711 ლარს შეადგენდა.

შპს „LEGI"-ის 2012 წლამდე უნდა განეხორციელებინა მილიონიანი ინვესტიცია და აეშენებინა ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, სადაც დაასაქმებდა საქართველოს 40 მოქალაქეს. აღნიშნული კომპანია უკრაინის მოქალაქის ლეონიდ ეზიკის საკუთრებაა. ამ პიროვნების შესახებ, ჯერჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ქარხნის ნაწილი ექსპლუატაციაშია შესული, მშენებლობა გრძელდება.

6. 2011 წლის 17 ივნისს, ასევე ერთ ლარად გასხვისდა ქ. ბათუმში შ. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ახალი ბულვარი, სასტუმრო „მარინას" და აკვაპარკს შორისძ 9900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ინვესტორი აზერბაიჯანის მოქალაქე ზარიფა ჰამზაევაა. მან თავისი წარმომადგენლის ელნურ მამედოვის საშუალებით განახორციელა შესყიდვა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" დაინტერესდა აღნიშნული ქალბატონის ვინაობით და აზერბაიჯანული მედიაწყაროების საშუალებით გაარკვია, რომ ზარიფა ჰამზაევა აზერბაიჯანელი მილიარდერის, ავიაკომპანია „Azarbaycan Hava Yollari" AZAL-ის პრეზიდენტის ჯახანგირ ასკეროვის მეუღლეა. ასევე, მოპოვებული ინფორმაციით, დგინდება, რომ ზარიფა ჰამზაევა, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილ არზუ ალიევასთან ერთად „Slkway Holding"-ში შემავალი SilkwayBank-ის დამფუძნებელია. „Slkway Holding" 23 კომპანიას აერთიანებს და საავიაციო ბიზნესში წამყვანი ჰოლდინგია. მილიარდერის მეუღლე, ასევე ფლობს პარფიუმერულ მაღაზიათა უმსხვილეს ქსელ „გაზელს".

ხელშეკრულების თანახმად, ჰამზაევა ვალდებულია, აღნიშნულ ტერიტორიაზე, 20 თვის განმავლობაში ააშენოს და ექსპლუატაციაში შეიყვანოს არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, რომელშიც დასაქმებულთა არანაკლებ 90% საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. როგორც ფოტოზე ხედავთ, მშენებლობა დაწყებული არ არის.

7. 2011 წლის განმავლობაში აჭარის მთავრობამ კიდევ ერთი ობიექტი გაასხვისა ერთ ლარად ქ. ბათუმში, რუსთაველის № 4-6 მდებარე 301 კვ.მ. ფართობის ტერიტორია, სადაც შპს „ვენტო"-ს 4 თვის ვადაში უნდა აემოქმედებინა 35/0,4 კილოვოლტი ძაბვის ელექტროქვესადგური (ხელშეკრულებაძ. აღნიშნული ობიექტი უკვე აშენებულია.

8. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ გასული წლის განმავლობაში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2011 წლის 10 მაისის №76 და №77 ბრძანებების საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში 45 მიწის ნაკვეთი გაიყიდა სიმბოლურ ფასად. ნაკვეთების მასშტაბი 100-200 კვ.მ-ს შეადგენს. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზანი უცნობია და არ არის ასახული ხელშეკრულებებში, რაც, რასაკვირველია, დამატებით კითხვებს წარმოშობს.

საქართველოს კანონმდებლობით (მუხ. 31 (2ძ, აჭარის ა/რ კონსტიტუცია; მუხ. 5, 8, 12 აჭარის ა/რ კანონი „ჭარის ა/რ ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს აქვს უფლება განკარგოს სახელმწიფო ქონება. თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" ხშირად საუბრობს სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის დახვეწაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მონიტორინგი უფრო ზედმიწევნით უნდა განხორციელდეს იმ ინვესტორების მიმართ, რომლებმაც სახელმწიფოსგან ქონება შეღავათიანი პირობებით შეიძინეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტები კორუფციულ შეთანხმებებად აღიქმება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" მომავალშიც გააგრძელებს აღნიშნული საკითხის კვლევას და მონიტორინგს გაუწევს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბლოგში ასახული ინფორმაცია ეყრდნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებულ საჯარო ინფორმაციას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" მადლობას უხდის სამინისტროს თანამშრომლობისათვის.

**Presage.tv**

„დიდი დინოზავრების ჯიში გადაშენდა და ძუძუმწოვრებს დაუთმო ადგილი, მაგრამ ამ ჯიშის ნამდვილი წარმომადგენელი, ნიანგი, ახლაც ჩვენთან ერთად ცხოვრობს" – წერდა ზიგმუნდ ფროიდი ესეიში „უკმაყოფილება კულტურაში" (Das Unbehagen in der Kultur", 1930). ევოლუციის თეორიიდან მოტანილ მეტაფორას ფროიდი იმის აღსაწერად იყენებდა, რაც ჩვენ წარსული, განდევნილი, გადალახული, დაძლეული გვგონია, მაგრამ მაინც ჩვენში, ჩვენ გვერდით, ჩვენთან ერთად არსებობს. პოლიტიკაში გადმობარგებული ბიზნესმენებიდან საქართველოში ფსიქოანალიზით ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდა, მაგრამ ამჯერად არც მასზე და არც ფსიქოანალიზზე საუბარს არ ვაპირებ.

ამას წინათ თვალში მომხვდა კახა ბენდუქიძის ინტერვიუ, რომელშიც ის, სხვათა შორის, ელიტურ კორუფციაზე საუბრობდა. „ელიტური კორუფცია", – ამბობდა ბენდუქიძე, – „ისე, როგორც ეს წარმოუდგენია ზოგიერთ ოპოზიციურ ძალას, იგივეა, რომ აი, ამ ოთახში არის ძალიან ბევრი ნიანგი, მაგრამ ჩვენი ეშინიათ და არ ჩნდებიან".

კორუფციასთან ბრძოლა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი სამარკო წარმატებაა. მართლაც: პატრული ქრთამს არ იღებს, პასპორტის ან რაიმე ცნობის აღება თუ გინდა, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მოსაკრებელს იხდი და ა.შ. ჩვეულებრივ, ყოფით დონეზე ჩემნაირ ჩვეულებრივ მოქალაქეს ქრთამის მიცემა არ უხდება.

ელიტურ კორუფციაზე საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ (მაგრამ იშვიათად განმარტავენ) უკვე ხსენებული ოპოზიციონერები, სხვადასხვა მერყევი ელემენტები და ასევე აშშ-ის ელჩი საქართველოში ქართველი ჟურნალისტების მიერ ჯონ ბაასად მონათლული ჯონ ბასი, რომელიც, მმართველი პარტიის აზრით, საქართველოს ერთი ჩვეულებრივი მეგობარი ქვეყნის ელჩისთვის, საერთოდ ძალიან ბევრს ლაპარაკობს. როგორც წესი, იგულისხმება კორუფციის „ხარისხობრივი" ტრანსფორმაცია „ქვედა" რგოლებიდან (საგზაო პოლიცია, საპასპორტო სამსახურები, დაბალი რანგის ჩინოვნიკები) გაურკვეველ ზედა რგოლებში.

კახა ბენდუქიძე ტყუილად არ სარგებლობს ჭკვიანი ადამიანის რეპუტაციით. ის ზუსტად განმარტავს, რას ნიშნავს ელიტური კორუფცია „ისე, როგორც ეს წარმოუდგენია ზოგიერთ ოპოზიციურ ძალას": **1)** „არის ვთქვათ გაფუჭებული მინისტრი და ჰყავს კრისტალურად სუფთა მოადგილეები, ან კორუმპირებული მოადგილეები და კრისტალურად სუფთა დეპარტამენტის უფროსები, ანუ ქვედა დონეზე ყველა სუფთაა: ეს ხალხი ხედავს ყველაფერს და ჩუმად არის. მისი უფროსი მექრთამეა, ის კი წყნარად აღიქვამს და პატიოსნად მუშაობს. ეს არის ზღაპრიდან მოტანილი სიუჟეტი". – ასკვნის ბენდუქიძე. **2)** „ელიტურ კორუფციას ეძახიან საჯარო სამსახურის რეფორმის შედეგებს, კერძოდ, მაღალ ხელფასებს საჯარო სამსახურში".

„ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ ხდება", – განაგრძობს კახა ბენდუქიძე, – „სადაც შეიძლება მთავრობის კრიტიკა, მაგრამ ეს ხალხი ამჯობინებს, იოლი გზით წავიდეს. იმის მაგივრად, რომ შეისწავლონ რა პრობლემებია, იბრძოლონ ამ პრობლემების დასაძლევად, ისინი ამ მოგონილ ელიტარულ კორუფციას აბრალებენ ყველაფერს. თუ ეს ჩემი მსჯელობა საკმარისი არ არის, მაშინ მოდით, სექტორულად განვიხილოთ, სად არის ეს ელიტური კორუფცია? და რაში გამოიხატება? ენერგეტიკაში? ჯანდაცვაში? განათლებაში? პოლიციაში? თავდაცვაში? სია შეგიძლიათ გააგრძელოთ და პასუხებიც მოიკითხოთ". – ურჩევს ის ჟურნალისტს. ჟურნალისტს, თუ არ ვცდები, პასუხები არ მოუკითხავს.

შეკითხვა, არსებობს თუ არა ელიტური კორუფცია საქართველოში, სულაც არ არის ტრივიალური. ის პირდაპირ არის დაკავშირებული ქართული სახელმწიფოს მომავალთან. საქართველო, ნაციონალური მოძრაობის ჩირლიდერების წარმოდგენისაგან განსხვავებით, ჯერ არ „აშენებულა". ის ახლა იქმნება, თავიდან ფუძნდება. ამიტომ აქვს მნიშვნელობა ყოველ კანონს და კონსტიტუციაში შეტანილ ყველა ცვლილებას – მათ შორის ისეთსაც, რომელსაც მმართველი პარტია არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით აკეთებს. ელიტური კორუფციის საკითხთან დამოკიდებულებაც პირდაპირ კავშირშია იმასთან, იარსებებს თუ არა საქართველოში ადამიანი ან პარტია, რომელიც კანონზე მაღლა იდგება და ნებისმიერ კანონს, ფუნდამენტური კანონის ჩათვლით, თავის თავზე მოირგებს.

იქამდე, სანამ ელიტურ კორუფციაზე საუბარს გავაგრძელებდე, მის განმარტებას შემოგთავაზებთ, რომელიც კახა ბენდუქიძისეულისაგან ოდნავ განსხვავდება, მერე კი, როგორც XIX საუკუნის ვინმე ჟურნალისტი იტყოდა, შენ, ძვირფასო მკითხველო, თავადვე განსაჯე, იმალება თუ არა შენს ოთახში, ტახტის ქვეშ, რომელიმე ნიანგი.

# ნიანგი და ელიტური კორუფცია



დავიწყოთ იმით, რომ კორუფცია სულაც არ ნიშნავს მარტო ქრთამის აღებას. არსებობს პოლიტიკური და ბიუროკრატიული კორუფცია, კრონიზმი (როდესაც თანამდებობაზე ინიშნებიან ლოიალური ადამიანები) და ნეპოტიზმი (თანამდებობებზე ნათესავების დანიშვნა), კანონით გათვალისწინებული მომსახურებისათვის კანონით გაუთვალისწინებელი საჩუქრების მიღება (მაგ. რომელიმე ბიზნესმენი რომელიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკს დასასვენებლად გაუშვებს ისეთ ადგილას, სადაც ეს ჩინოვნიკი თავისი ხელფასით ვერაფრით დაისვენებდა). უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, კორუფციასთან გვაქვს საქმე, როდესაც სისტემის მონაწილე სუბიექტი თავს კანონზე მაღლა აყენებს და საკუთარი პოზიციების გასამყარებლად დაუსჯელად იყენებს აშკარად უკანონო გზებს (ან ისეთ გზებს, სადაც კანონის და უკანონობის გარჩევა შეუძლებელი ხდება).

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

წელს გერმანიის პრეზიდენტი, ქრისტიან ვულფი გადადგა. მის გადადგომას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, ერთ-ერთი ის იყო, რომ მან თავისი მეგობარი ბიზნესმენისაგან შეღავათიანი კრედიტი, ნახევარი მილიონი ევრო აიღო. საქმე იმაშიც კი არ იყო, რომ ვულფი ამ თანხის საფასურად ბიზნესმენს რამეს დაჰპირდა ან რამე „გაუკეთა". ასეთი მოქმედებით მან თავი „კორუმპირებადი", სხვაზე დამოკიდებული გახადა და ქვეყნის პირველი პირის სტატუსს ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მიაყენა.

2007 წელს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და გამოძალვის ბრალდებით. ოღონდ ოქრუაშვილი მას შემდეგ დააკავეს, რაც მან მთავრობა დატოვა და მმართველ პარტიას დაუპირისპირდა. ერთ-ერთი ბრალდება იყო პარლამენტარ ჯემალ სვანიძისათვის კომპანია „ჯეოსელის" 2,5%-იანი წილის „ართმევა".

ეს წილების და ქონების ასეთი გადანაწილება ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა: მაგ. სამაუწყებლო კომპანიები „რუსთავი 2" და „იმედი", რომლებიც დღეს მმართველი პარტიის ერთობ უხეირო პროპაგანდით არიან დაკავებული, მფლობელებს ჩვეულებრივი მოქალაქისათვის არაგამჭვირვალე გზით იცვლიდნენ.

ოქრუაშვილის შემთხვევა ასევე ელიტური კორუფციის შემთხვევაა: ძნელია, რიგითმა ჩინოვნიკმა პარლამენტარს საკუთარი ათმილიონიანი წილი დაათმობინოს. მე კი არ ვიცი, რა მოხდებოდა, ოქრუაშვილი რომ მთავრობაში დარჩენილიყო: გვეცოდინებოდა რამე ამ შემთხვევის შესახებ? რა მექნიზმები გვაქვს, სხვა მინისტრების შემოსავლების კონტროლისა? როგორ ხდება, რომ უმსხვილესი ტელეკომპანიები პრეზიდენტის მეგობრების ხელში აღმოჩნდება?

ეს მაგალითები კერძო შემთხვევაა იმისა, თუ როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ელიტური კორუფცია. ასეთი შემთხვევები სისტემური არ არის. მე მაინც მგონია, რომ როდესაც საქართველოში ელიტურ კორუფციაზე ლაპარაკობენ, სულ სხვა რაღაცას გულისხმობენ. მართლაც, ვინ არის კორუფციის სუბიექტი? ვინ იღებს სარგებელს კორუმპირებული სისტემის შექმნისაგან? კიდევ ორ მაგალითს მოვიშველიებ:

საბჭოთა კავშირის ნგრევამ ზოგს თავისუფლება მოუტანა, ზოგისთვის გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო, ზოგს ქონება წაართვა, ზოგს კი კაპიტალი დააგროვებინა. როდესაც საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, გერმანიის მთავრობას თავმჯდომარეობდა ჰელმუტ კოლი, რომელმაც, სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, გერმანიის გაერთიანების ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ისტორიაში „გაერთიანების კანცლერის" სახელით შევიდა. ამ ისტორიულ როლს კოლი არ დაუცავს, როდესაც (1999 წ.) გამოაშკარავდა, რომ პირადად მას და მის პარტიას შემოწირულობებისათვის შვეიცარიაში არალეგალური ანგარიშები ჰქონდათ. კოლი, რომელიც ამ დროს კანცლერი აღარ იყო, ყველა პარტიული თანამდებობიდან გადადგა. ესეც ელიტური კორუფციის შემთხვევაა, იმიტომ რომ პარტიას, რომელიც დიდი ხანია ქვეყანას მართავს (გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების და კოლის შემთხვევაში ეს 16 წელიწადი იყო) გარკვეული რესურსების გამოყენება და მართლმსაჯულებისათვის გვერდის ავლა შეუძლია. ხდება ასეთი რამე საქართველოში? გამჭვირვალეა ყველა პარტიის შემოსავლები? რა მექანიზმები გვაქვს ამის გასარკვევად?

სიის გაგრძელება, ალბათ, კიდევ შეიძლება, მაგრამ ბოლო, ყველაზე დიდი ნიანგით დავამთავრებ: ამ ნიანგს „პარტიული კაპიტალიზმი" ჰქვია და მის მაგალითს შეგვიძლია ტაივანში მივაგნოთ ჩინური ნაციონალისტური პარტიის ავტორიტარული მმართველობის დროს. მმართველი პარტია ქმნის ფირმებს, რომლებსაც ამა თუ იმ, დიდ თუ წვრილ მონოპოლიას (მაგ. სარეკლამოს) უგდებს ხელში. ასეთ ფირმებს მმართველი პარტიის ზედა ეშალონების მეგობრები და ნათესავები უდგანან ხოლმე სათავეში. ეს ფირმები, სხვებთან შედარებით, სასათბურე პირობებში არიან, იმიტომ რომ არც საგადასახადო ინსპექცია აწუხებთ ზედმეტად, არც კონკურენცია. ამ ფულით მმართველი პარტია აფინანსებს არა მარტო არჩევნებს, არამედ ამა თუ იმ პროექტს, რომელიც მის ძალაუფლებას ამყარებს. ამ პროექტებით ის ხელს უწყობს „სოციალურ კორუფციასაც", რადგანაც ამ პროექტებში მისდამი ან ლოიალურად განწყობილ ადამიანებს რთავს, ანაც ნეიტრალურად განწყობილთა ლოიალურობას ყიდულობს. ესეც ელიტური კორუფციის შემთხვევაა, რომელიც, ეჭვი მაქვს, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ეკონომიკის არქიტექტორებს შეიძლება მოდელადაც კი ჰქონდეთ აღებული.

ბოლო ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ „კორუფციონერი" სულაც არ არის აუცილებელი, რომელიმე ჩინოვნიკი ან მინისტრი იყოს. ელიტური კორუფციის სისტემას შეიძლება ქმნიდეს პარტია, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მეოცე საუკუნისეული ავტორიტარიზმი ოცდამეერთე საუკუნეში არ იმუშავებს და საკმაო შემოქმედითი პოტენციალი აქვს იმისათვის, რომ ხელისუფლების შენარჩუნების უფრო თანამედროვე ფორმები გამოიგონოს. ასეთი ფორმა შეიძლება იყოს (სემილეგალური) ფინანსური იმპერიის შექმნა, რომელიც ხელოვნური მონოპოლიებისაგან შედგება, კონკურენტებს კი სახელმწიფო აპარატის მეშვეობით უმკლავდება. ეს ფინანსური იმპერია, თავის მხრივ, უზრუნველყოფს არჩევნებში მეტად თუ ნაკლებად უპრობლემოდ გამარჯვების შესაძლებლობას ისე, რომ დემოკრატიის ფასადი შენარჩუნებული იყოს.

ელიტური კორუფციის ეს მოდელი იყენებს უკანონო (ან კანონსა და უკანონობას შორის ნაცრისფერ ზონაში მყოფ) მეთოდებს ისე, რომ ქვეყნის მოქალაქეები მისგან თითქმის სრულიად დაუცველნი არიან.

პირადად ჩემთვის, არ აქვს არანაირი მნიშვნელობა, „კარგი" თუ „ცუდი" მიზნით იქმნება ელიტური კორუფციის სისტემა, რომელმაც ერთსა თუ ორ სამხრეთაზიურ სახელმწიფოში „გაამართლა" იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობას გარკვეული კეთილდღეობა მოუტანა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კორუმპირებული სისტემის შექმნა თავისთავად არანაირად არ იძლევა პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატების გარანტიას, მეორეც იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ყველა ასეთ მაგალითში წარმატება მხოლოდ კორუმპირებული სისტემის დაძლევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. პირადად ჩემთვის, საქართველოს მომავალი ევროპულ დემოკრატიასთან არის დაკავშირებული – სამართლებრივ სახელმწიფოსთან – ისეთთან, რომელშიც არც ერთი მოთამაშე პრივილეგირებული არ არის და კანონზე მაღლა არ დგას – თანაც ყოველგვარი ხელოვნურად გაჯანჯლებული გარდამავალი პერიოდების გარეშე. და ისეთ საბაზრო ეკონომიკასთან, სადაც ბაზრის მონაწილეები პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით არ წახალისდებიან ან იდევნებიან.

დავამთავრებ იმით, რომ დემოკრატიის ხარისხი (ელიტური) კორუფციის შემთხვევებით არ განისაზღვრება, არამედ სისტემის უნარით, ბოზოლებიც (ადამიანებიცა და პარტიებიც) კი მოინელოს (როგორც ეს მაგ. იტალიაში მოხდა). მაგრამ იმისათვის, რომ სისტემამ მათი მონელება შეძლოს, მოვლენისათვის საკუთარი სახელის დარქმევის უნარი მაინც უნდა ჰქონდეს.

**ზაალ ანდრონიკაშვილი,**
**რადიო „თავისუფლება"**

**P. S. ეჭვი მაქვს, რომ ამ მოსაზრებასაც მოჰყვება კამათი ნორმატივიზმის და რეალიზმის შესახებ. ამაზე კიდევ ცალკე დავწერ, მაგრამ სანამ ცალკე დავწერდე, ვიტყვი, რომ თუკი არ გვექნა ნორმატიული ჰორიზონტი იმისა, საითკენ ვმოძრაობთ და არ ვიმოქმედებთ იმ ჩარჩოში, რომელსაც ეს ნორმატიული ჰორიზონტი გვთავაზობს, მაშინ ძალიან იოლია, კეთილმა განზრახვებმა ისევ იქ დაგვაბრუნოს, საიდანაც გამოსვლა ასე ძალიან გვინდა.**

**რჩევა**

ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოსვლამ პოლიტიკაში ხელისუფლებას სრულიად დააკარგვინა რეალობის შეგრძნების უნარი. განსაკუთრებით ეს მოვლენა ნათლად აისახა სააკაშვილის ფსიქიკაზე. მისმა ვოიაჟებმა საქართველოს კუთხეებში უკვე კომიკური ხასიათი მიიღო. პრეზიდენტის მითითებით აიძულებენ მშობლებს გამოიყვანონ ლამის აკვნის ბავშვები და აძახებინონ – „მიშა, მიშა!" ასეთ რამეს არ მოსწრებია კაცობრიობა. დამფრთხალი და შეშინებული სააკაშვილი ისეთ დადგენილებებს გამოსცემს, რომ არავითარ ნორმის ჩარჩოში არ თავსდება.

გვჯერა, რომ არჩევნების მოახლოებისას ბატონ ივანიშვილის მხარდამჭერთა რიცხოვნობა მკვეთრად გაიზრდება; თვით ეგრეთ წოდებული ნაციონალური პარტიის აბსოლუტური უმრავლესობა მის მხარეზე გადავა. ეს ფაქტი ისე გაალიზიანებს (რბილად ნათქვამია) სააკაშვილს, რომ შესაძლებელია გასცეს განკარგულება ყველა ჭეშმარიტად ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატობის კანდიდატის დაპატიმრებისა. ეს კი ბოლოს და ბოლოს აღავსებს ძალიან მომთმენი ქართველი ხალხის მოთმინების ფიალას და იგი ქუჩაში გამოვა. დატრიალდება ისეთი ამბები, რომ არაბული რევოლუციების დროს დატრიალებული სისხლისღვრა სანატრელი გაგვიხდება. მართალია, სააკაშვილმა ამ რვა წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ფსიქიკა ცხვრის ფსიქიკას გაუთანაბრა, მაგრამ ისიც ხომ გვსმენია: ცხვარი ცხვარია და, თუ გაბრაზდა, ცხარიაო. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს გაცხარებული ხალხი რას მოიმოქმედებს. **მტკიცება არ სჭირდება, ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა არც ქართველ ხალხს და არც ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი სააკაშვილს, ხელს არ აძლევს.**

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ერთხელ კიდევ ვცადოთ სააკაშვილის დარწმუნება იმაში, რომ მისი მოღვაწეობა უკვე შეუთავსებელია ქართველი ხალხის ინტერესებთან და ნებაყოფლობით გადადგეს. როგორც ცნობილია, 1917 წლის თებერვალში მუშათა და გლეხთა, ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლები ეწვივნენ ნიკოლოზ მეორეს და პეტიცია წარუდგინეს, სადაც არგუმენტირებულად, მოკლედ დამტკიცებული იყო იმპერატორის შეცდომები და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულობები. იმპერატორი უყოყმანოდ გადადგა; ის იმპერატორი გადადგა, რომელიც თავს ზენაარის დანიშნულად მიიჩნევდა; მაშინდელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც კი იმპერატორს დედამიწაზე ღმერთის მიერ გამოგზავნილ ხალხის წინამძღოლ ზეადამიანად თვლიდა. ვფიქრობთ, სააკაშვილს არ ჰგონია, რომ ღმერთის მიერაა გამოგზავნილი, მაგრამ იმაში ღრმად არის დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხი ბრიყვია, გულუბრყვილოა და ასეთ მიამიტ ხალხში იოლია ტყუილის ჭეშმარიტებად გასაღება, დასაგმობი საქმის კეთილ საქმედ წარმოდგენა, მცირე სალაფავის საფასურად ქართველის მოსყიდვა და ტაკიმასხარად ქცევა, თვალში ნაცრის შეყრა და თვალის ახვევა. აშკარაა ქუთაისში პარლამენტის გადატანა და ამ ქალაქის დედაქალაქად ქცევა გარეშე ძალების სურვილის მიხედვით ხორციელდება. სააკაშვილს ჰგონია, ქართველებს ცუდი მეხსიერება გვაქვს და დავივიწყეთ უახლოესი წარსული, როდესაც გარეშე ძალები დაჟინებით მოითხოვდნენ თბილისიდან ქუთაისში დედაქალაქის გადატანას. ამ არასამართლიანმა მოთხოვნამ სერიოზული ომიც კი წარმოშვა (ეს ომი ქართველების გამარჯვებით დაგვირგვინდა).

შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ ქალაქ ლაზიკის დაარსების იდეა სააკაშვილმა ქუთაისის დედაქალაქად გამოცხადების შედეგად გამოწვეული ხალხის რისხვის გადასაფარად წამოაყენა. სხვანაირად, იქ ნახევარმილიონიანი ქალაქის აღმოცენება შეუძლებელია, წმინდა წყლის სიგიჟეა. დავუშვათ ფანტაზიას მივენდეთ და წარმოვიდგინეთ მართლაც აშენდა ქალაქი ნახევარმილიონიანი მცხოვრებით. ამ შემთხვევაში იგი „შეიწოვს" ქართული სოფლების ნახევარს მაინც, შედეგად მივიღებთ მოსახლეობისაგან დაცარიელებულ ქართულ ტერიტორიებს, რასაც უმალვე უცხოტომელები შეავსებენ.

ბევრი იმასაც გვიმტკიცებს, რომ ყველა სახელმწიფოში სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქები იზრდება. ეს ტენდენცია ქართველი ერისათვის დამღუპველია. ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა არ შემცირდეს. ეს ღონისძიება ორ მეტად მნიშვნელოვან საქმეს მოემსახურება: 1. შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე. 2. საქართველოს ტერიტორია თვით ქართული მოსახლეობით იქნება დაცული. ვინც ადვილად გასაცნობიერებელ ჭეშმარიტებას ვერ აცნობიერებს, გიჟია ან საქართველოს მტერი.

მივმართავთ პრეზიდენტს, ეთიკის სრულიად დაცვით და საყოველთაო ეტიკეტის დაურღვევლად:

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს!

# ქვეყნის გადარჩენის ძიებაში გამოსავალი თქვენი ნებაყოფლობითი გადადგომა იქნება

## მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს



თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, სახელმწიფოსთვის უპირველესი ამოცანის – რეალობისათვის შესატყვისი პროგრამის შემუშავება ვერ მოახერხეთ; ვერ შესძელით ინტელექტუალთა მობილიზება, რათა ეს რთული პრობლემა მათ გადაეწყვიტათ. გასაკვირიც არაფერია, ვინაიდან ჭეშმარიტი ინტელექტუალები და საქმის მცოდნე ადამიანები სახელმწიფოს სტრუქტურებიდან ჩამოიშორეთ.

თქვენ არ გამოაცხადეთ ქვეყნის ძნელბედობის ჟამი. მასთან დაკავშირებით კი – საყოველთაო ეროვნული თვითშეზღუდვა, რაც თავისთავად გულისხმობს პრობლემების დაყოფას პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად. ვერც კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები დაასახელეთ; ვერ გააანალიზეთ უახლესი წარსულის მოვლენები, ვერ დასახეთ ოპტიმალური სამომავლო გეგმები.

ხელისუფლება მოქმედებს უიდეოდ. ვერავინ გაერკვა, თუ საქართველოში რომელი პოლიტიკური მიმდინარეობა დამკვიდრდა – ლიბერალიზმი, სოციალიზმი თუ ეტატიზმი. შედეგად სახელმწიფო ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფება. მოიშალა ყველაფერი, კატასტროფა განიცადა სოფლის მეურნეობამ. ამ დარგში პრეისტორიული წესები დამკვიდრდა.

ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, ვის როგორც სურს ფულს ისე ხარჯავს. მაგალითად, სოლიდური თანხები იხარჯება მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებზე, რომლისგანაც თავის შეკავება ამ ეტაპზე შესაძლებელი და აუცილებელიც კია. მაგრამ, ამ მხრივ, თქვენ აღმოჩნდით მაგალითის მიმცემი – აგებთ შადრევნებს, დეკორატიულ ხიდებს, აწყობთ ფესტივალებს, ზეიმებს, იწვევთ ძვირად ღირებულ მომღერლებს, მაშინ, როცა ქვეყანაში უმუშევრობა სუფევს და შიმშილი მძვინვარებს.

ვერ განსაზღვრეთ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა; ვერ გააცნობიერეთ ის გარემოება, რომ რეგიონული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრციდან არაბუნებრივი ამოვარდნა ქვეყანაზე დამანგრეველად მოქმედებს. ამ მხრივ არ გაითვალისწინეთ მეზობელი სახელმწიფოების მოქნილი პოლიტიკა. არსებობს ცნება – გეოპოლიტიკური სუვერენიტეტის დაცვა. თქვენ კი საქართველო მიგყავთ იქამდე, რომ სულ მალე მას დიდი სახელმწიფოების ბრძოლის არენად გადააქცევთ.

თქვენი საშინაო პოლიტიკის წყალობით მოსახლეობის 0,5% ფუფუნებაში ცხოვრობს. მათ შორის თქვენი და თქვენი გარემოცვის ოჯახები, რაზედაც ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის. ხოლო მოსახლეობის სოლიდური ნაწილი სიღატაკეში იმყოფება. განუხრელად იზრდება უმუშევრობა და მიგრაცია. თუკი ასეთი მდგომარეობა არ გამოსწორდა, მივიღებთ ერის გენოციდს.

სასამართლოები, როგორც ამჟამად ხატოვნად ამბობენ, საკუთარ ჯიბეში მოითავსეთ. საბოლოოდ კრახი განიცადა საგანმანათლებლო რეფორმამ. ყვავის ეგრეთ წოდებული ელიტარული კორუფცია.

ძალაუფლების შესანარჩუნებლად ძალოვანებს და ერთგულ ჩინოვნიკებს დიდ ხელფასს უნიშნავთ, ხოლო უმცირესი პენსია, რაც ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მოქალაქეებს (საბჭოური პერიოდის პოლიტპატიმრებს) დაენიშნათ, 55 ლარს არ აღემატება.

თქვენ დიქტატორს, ზოგჯერ ავტოკრატს გიწოდებენ, მაგრამ ისტორიამ არ იცის თუნდაც ერთი მაგალითი, როდესაც სისხლიანი დიქტატორიც კი ყოველგვარ საქმიანობაში ერეოდა და ყველაფერი მისი გემოვნებით კეთდებოდა. პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ როგორი „გემოვნება" გქონიათ – სახელმწიფო უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენეთ.

თქვენი მითითებით ხდება მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, ხორციელდება მასობრივი რეპრესიები, რჩება შთაბეჭდილება, რომ მფარველობთ ძალოვანებს, რომლებმაც მრავალ ახალგაზრდას სიცოცხლე მოუსწრაფეს.

ბოლო დროს, შეიძლება ითქვას, ქუთაისის დედაქალაქად გადაქცევის მცდელობით, გსურთ ქართველ ერს გამოუსწორებელი, უმძიმესი დარტყმა მიაყენოთ.

– არამიზნობრივად იხარჯება ფული. მისი გარკვეული ნაწილი მავანთა ჯიბეში ილექება. მაგალითად, საზღვარგარეთიდან დევნილებისათვის გამოყოფილი რამდენიმე მილიარდი დოლარის მნიშვნელოვანი ნაწილი დანიშნულებისამებრ არ დახარჯულა.

ყველაფერს ყიდით. ამით საქართველოს მოსახლეობას სასიცოცხლო სივრცეს უმცირებთ. ეს კი, შეიძლება ითქვას, ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაულია.

რასაკვირველია, რუსეთ-საქართველოს ომი თქვენმა არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვია. ჩვენ ამჯერად არ გავარკვევთ საკითხს, თუ ვინ და რა გახდა სამაჩაბლოში ომის დაწყების საბაბი, მაგრამ ეს კი ცხადია, და ამას ვერც უარყოფთ, რომ ვეებერთელა რუსეთს პოლიტიკურ ავანტიურაში აჰყევით. შედეგად კი საქართველომ დაკარგა კოდორის ხეობა, ახალგორის რაიონი და მრავალი სოფელი. თუ თქვენ ქართველი ხალხი ამგვარი პოლიტიკის გატარების საშუალებას კიდევ მოგცემთ, მოსალოდნელია ქართული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დავკარგოთ.

ხალხში იტყვიან: რკინისა და თიხის ქოთნების ერთად მგზავრობა სახიფათოა, თიხის ქოთნების მსხვრევით მთავრდება. თქვენი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით სწორედ ამ ანდაზას მოგვაგონებს.

კოდორის ხეობის დაკარგვა თქვენი უხეში შეცდომის შედეგია. აფხაზებს უმტკიცებდით, ოღონდ საქართველოს ფარგლებში შემოდით და ჯერარნახულ ავტონომიას მოგანიჭებთო. იმავდროულად კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარი შეიყვანეთ. აფხაზები ეგუებოდნენ ამ ხეობის საქართველოს შემადგენლობაში დე ფაქტოდ ყოფნას, თქვენმა მზაკვრულმა ქცევამ კი ისე გაამწარა ისინი, რომ შესაფერის დროს ელოდნენ, რათა საბოლოოდ დაენარჩუნებინათ ეს ხეობა. ეს დროც დადგა: რუსეთ-საქართველოს ომი. აღარაფერს ვამბობთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებაზე.

იმასაც ვერ უარყოფთ, რომ თქვენს გართობასა და დროს ტარებაზე მილიონობით დოლარი იხარჯება. ეს კი სრულიად არ შეეფერება ქვეყნის მმართველს.

თქვენი ცხოვრების წესია: თქვი დიდი ტყუილი, ხალხი მცირედს მაინც დაიჯერებს.

თქვენმა უიდეობამ, შეცდომებმა ქვეყანას კატასტროფა განაცდევინა. საქართველო ახლა ფენიქსისამებრ ფერფლიდან თუ აღდგება, სხვა გამოსავალი არ არსებობს. გამოსავლის ძიების პირველი ნაბიჯი იქნება, თუ თქვენ დაკავებულ თანამდებობას ნებაყოფლობით დატოვებთ.

**ვაჟა ჟღენტი,**
საბჭოური პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე

**ინფორმაცია**

## საჯარო მოხელეები დეკლარაციებს აღარ წარადგენენ

**საჯარო მოსამსახურეებს ფინანსთა სამინისტროსთვის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება აღარ ექნებათ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შედის, რომელსაც საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტი განიხილავს.**

**როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, საჯარო მოსამსახურის მიერ დეკლარაციის წარდგენას არც რაიმე საგადასახადო მიზანი ჰქონდა და არც გამჭვირვალობას უწყობდა ხელს, რადგან მისი გამოქვეყნება არ ხდებოდა.**

**შესაბამისად, უქმდება საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურში შესვლისას და შემდგომ ყოველწლიურად, ფინანსთა სამინისტროსთვის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება.**

**შესაბამისად, ამ ცვლილების ამოქმედების შემდეგ, დეკლარაციების ყოველწლიურად შევსების და საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენის ვალდებულება მხოლოდ თანამდებობის პირებს ექნებათ.**

**კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები დეპუტატები ზვიად კუკავა და ანდრო ალავიძე არიან. კანონპროექტი პარლამენტში გასული წლის ოქტომბერში იყო ინიცირებული.**

ინტერპრესი

## ყურადღება, ყურადღება!

# მალე ქართული რეფორმების ექსპორტი იწყება!

### აქამდე ჩვენ ვსწავლობდით, ამიერიდან ჩვენგან ისწავლიან...

**ერთი შეხედვით, რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, რეალობას სად გავექცევით — ამიერიდან მთელ მსოფლიოში სასწაულად აღიარებული ქართული რეფორმების შეუქცევადი ექსპორტი იწყება. ამის უტყუარი დასტურია ამ დღეებში ბრაზილიაში მოწყობილი სამიტი, რომელზეც საქართველო, როგორც იქ ვიზიტად მყოფმა პრემიერმა ნიკა გილაურმა გვაუწყა, რეფორმების ექსპერტიორი ქვეყნის სტატუსით წარსდგა. ეს ფაქტობრივად ჩვენებური რეფორმების პრეზენტაცია გახლდათო, თქვა ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე პრემიერ-მინისტრმა და სამიტის მონაწილეთათვის რეფორმების შედეგი უფრო თვალნათლივი რომ ყოფილიყო, ისიც დაამატა, რომ საქართველოში მიშნაცების მმართველობის პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო სიღარიბე 40 პროცენტიდან 10 პროცენტამდე შემცირდა(!).**

მთავრობის მეთაურის მორცხვმა წატრაბახებამ არც თუ შემთხვევით გამახსენა გასული წლის დეკემბერში პრეზიდენტ სააკაშვილის ბიშკეკური ტურნე, სადაც ის ყირგიზეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაში მონაწილეობის მისაღებად ჩაფრინდა. ვერ გეტყვით, რამდენად ზეიმური გამოდგა ატამბაევის პრეზიდენტად კურთხევა, მაგრამ ინაუგურაციის შემდეგ სტუდენტებთან შეხვედრაზე კი, რომელსაც მიშავიზია სამი დღის მანძილზე ჩამოუხსნელად გვიჩვენებდა, სააკაშვილმა იმ საგმირო საქმეების თაობაზე, რაც მან საქართველოში გააკეთა, ჩვეულებისამებრ, მაგრად გაბუქა. კერძოდ, დღეს მთელი მსოფლიო რომ გლობალურ კრიზისშია ჩაფლული, ჩვენი ეკონომიკა ყოველწლიურად 6-7 პროცენტით იზრდებაო, დღემდე თუ ჩვენ ვსწავლობდით სინგაპურისგან, ახლა ჩვენ ვასწავლით სხვებსო, — დასძინა მან და იქვე დაამატა, რომ **„საქართველო უკვე რეფორმების ექსპორტიორი ქვეყანა გახდა!“**

აბა, როგორ ბატონებო. იყო დრო, როცა ჩვენ ვსწავლობდით სინგაპურისა და ჰონკონგისგან, მაგრამ ახლა ჩვენ თვითონ ვართ ჰონკონგიც და სინგაპურიც. ნაცების ბრძნული წინასწარხედვითა და მეთაურობით, ქვეყანა ისეთი ტემპებით გარბის ფინიშისკენ, რომ უკან მიხედვას ველარც კი ვასწრებთ. ჩვენ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში დავაგროვეთ რეფორმების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხის მასობრივად დასაქმების უმდიდრესი გამოცდილება და ახლა ის უცხოეთის ქვეყნებში საექსპორტოდ უნდა გავიტანოთ. **როგორც არ უნდა საკვირველი იყოს, ჩვენ მეზობელი ქვეყნებიდან შემოგვაქვს კიტრი და პომიდორი, კარტოფილი და ნიორი, მაგრამ სამაგიეროდ საექსპორტოდ გაგვაქვს რეფორმები და ავტომობილები, რომელსაც არ ვაწარმოებთ(?!). თუმცა, როგორც ირკვევა, ქვეყანა იმდენად უხვად და ხარისხიანად აწარმოებს რეფორმებს, რომ მათ ექსპორტზე პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერი გილაური და ცალკეული მინისტრები არიან დასაქმებულნი. ამასთან, სარწმუნო ინფორმაციით, მთავრობაში უკვე იქმნება ორი ახალი უწყება, რომლებიც ქართული რეფორმების საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და მსოფლიო პრაქტიკაში მათი ფართოდ დანერგვისთვის იზრუნებენ.**

ალბათ, დაინტერესდით, ამდენი ტრაბახისა და ბაქიბუქის შემდეგ მაინც რომელი „რეფორმირებული პროდუქტის“ გატანას გეგმავენ საზღვარგარეთ ქართველი ნაცები? საექსპორტო პროდუქციიდან, ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყველაზე ფასეული უცხოელებისთვის ის „სასწაულია“, რომელიც ეკონომიკაში გატარებული რეფორმების წყალობით მოვიპოვეთ. ამ „სასწაულის“ მთავარ ინდიკატორებად მოჰყავთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საერთოდ და ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი მაჩვენებლები, ლარის კურსის სიმყარე, ქვეყანაში ბიზნესის დაწყების სიიოლე და სხვა. მაგრამ თუ ოდნავ მაინც ჩავუღრმავდებით ამ „ეკონომიკური სასწაულის“ უკან მდგომ ციფრებს და დავინტერესდებით, რა შეიცვალა ამ რეფორმებით თავად საქართველოს მოსახლეობისთვის, რომელიც, წესით, სწორედ ეკონომიკური რეფორმების წყალობით უნდა იყოს მთავრობის მადლიერი და ბედნიერი, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი ეს უფრო პიარი და ფარატინა რეკლამებია, ვიდრე რეალობა.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ხშირად ციტირებადი ინდიკატორი, როგორიცაა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, რომლითაც ჩვენი ბაქია ხელისუფალნი განსაკუთრებულად ამაყობენ და წარამარა იმეორებენ, რომ ეს მაჩვენებელი 2011 წელს, 2003 წელთან შედარებით, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა(!). დავუშვათ, მართლაც ამდენჯერ გაიზარდა მშპ, მაგრამ ამან პრაქტიკულად რა მოუტანა ქვეყნის რიგით მოქალაქეს? **არც არაფერი, გარდა იმისა, რომ ამჟამად მშპ-ის ერთ სულზე მოსული საშუალო შემოსავლით საქართველოს მოქალაქეს 17 პროცენტით ნაკლები ხორცის შეძენა შეუძლია, ვიდრე ეს შეეძლო 2003 წელს. ანალოგიური სურათია სხვა ძირითადი სასურსათო პროდუქტების მხრივაც, რასაც ემატება მძიმე კომუნალური გადასახადები, რის გამოც მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ნაწილს ფასების ზრდა აბათილებს და ჯამში მოსახლეობა პრაქტიკულად ვერ გრძნობს იმ სიკეთს, რასაც ნაცების მიერ ფრთაშესხმული „ეკონომიკური სასწაული“ უნდა იძლეოდეს.**

მერე რა ვუყოთ, მსოფლიოში პირველი რეფორმატორული ქვეყნის მოქალაქენი, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლეს ხელისუფალნზე, ამ „მცირე“ წარუმატებლობამ არ უნდა შეგვაშინოს. მით უფრო, რომ როცა გადაწყვეტილი გვაქვს რეფორმების საექსპორტოდ გატანა, ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გავაკეთოთ არა იმდენად რეფორმებით მიღებულ შედეგებზე, რამდენადაც ამ რეფორმების პიარაქციების ხარისხზე. ამის კონკრეტულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბოლო წლებში ქვეყნის სოფლის მეურნეობაში „წარმატებით“ განხორციელებული ვაუჩერული (20-30-ლარიანი) რეფორმა, რომელმაც მართალია დარგი მთლიანად გაანადგურა, მიწები დაუმუშავებელი დატოვა, გლეხები დაამშია და ბაზარიც უცხოური პროდუქციით გაალიცლიცა, მაგრამ თავად რეფორმის მაღალ რეიტინგს ოდნავი ბზარიც ვერ მიაყენა. გინდაც ამას დავუმატოთ შარშან სამარცხვინოდ ჩავარდნილი ამერიკული სიმინდის ჰიბრიდის სამთავრობო პროგრამა, ძნელი წარმოსადგენია, ვივარაუდოთ, რომ საზღვარგარეთ საექსპორტოდ გატანილ ქართული სოფლის რეფორმას უცხოელი მუშტარი ცხვირს აუბზუებს და მის გასაღებას რაიმე საფრთხე დაემუქრება.

ცოტა სხვაგვარადაა საქმე კორუფციასთან დაკავშირებით, რომლის ერთხელ და სამუდამოდ ამოსაძირკვავად გატარებულმა სამთავრობო რეფორმებმა, შეიძლება ითქვას, მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ახლა, ალბათ, ძნელია დავითვალოთ, რამხელა სარგებლის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის ამ რეფორმის ექსპორტს, რომ არა დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას მიერ პარლამენტის სხდომაზე გაკეთებული „როყიო“ განცხადება, რომელმაც პრეზიდენტი სააკაშვილი იმდენად გაანერვიულა, რომ ბაღათურიას ჯერ ტალახიანი აბაზანის დაზელვით დაემუქრა, შემდეგ კი სხდომათა დარბაზიდან გაიქცა. ამან, რა თქმა უნდა, რეიტინგი სარძნობლად შეურყია როგორც თავად ანტიკორუფციულ რეფორმას, ისე სააკაშვილს, რომელიც, ბაღათურიას თუ დავუჯერებთ (არადა მან დოკუმენტური მასალები წარმოადგინა), ოჯახიან-ახლობლებიანად ერთიანად კორუფციის ჭაობში ჩაფლული აღმოჩნდა. ამას დაემატა შემდგომში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკარიშვილის სკანდალური განცხადებაც, რომელმაც საქართველოში ცალკეული პროდუქტების (კერძოდ, საწვავის) უსაშველო სიძვირე კორუფციის არარსებობას გადააბრალა(!). ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, სულაც არ იქნება გასაკვირი, ერთ დროს საყოველთაოდ აღიარებულმა ქართულმა ანტიკორუფციულმა რეფორმამ გაექსპორტებისას მაგრადაც ჩაისვაროს.

ამის მიუხედავად, არ ვთვლი, რომ ხელისუფლებამ ქართული რეფორმების ექსპორტზე ხელი უნდა აიღოს, თანაც თუ ვხედავთ, რომ ზოგი მათგანის მიმართ საზღვარგარეთ განსაკუთრებული სიმპათიები გააჩნიათ. ეს უფრო ითქმის რუსებზე, რომლებიც თურმე, თუ მიშავიზიებს დავუჯერებთ, ჩვენს არაკორუმპირებულ პოლიციას და შუშის ბრჭყვიალა შენობებს შენატრიან. აკი, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შედეგად ლარსის გამშვებ პუნქტს იმდენი ტურისტი მოაწყდა, რომ მეზაჟეები მიღებას ველარ აუდიან და მათ შიგადაშიგ მოვალეობის შესრულებაში პირადად სააკაშვილიც ეხმარება.

**ვერაფერს იტყვი, პირდაპირ ჭკუის კოლოფია ჩვენი მიშა. მან მშვენივრად უწყის, რუსი ტურისტები აყვავებულ საქართველოს რომ ნახავენ, უკან დაბრუნებულები იმპერიულ ხელისუფლებას აუხირდებიან და აგრესორ პუტინს დღესვე თუ არა, ხვალ ტახტიდან ჩამოაბრძანებენ... ერთი კია, მიშნაცებმა, რომელთაც მთელი ქვეყანა უცხოეთს მიჰყიდეს, უნდა იჩქარონ — რეფორმების სარფიან ფასად „გასუხარება“ არ დააგვიანდეთ, თორემ არავინ უწყის მოახლოებული არჩევნები ვის რას მოუტანს. არავის გაუკვირდეს, გამარჯვების შემთხვევაში ნაცების ნახლაფორთევი რეფორმები ივანიშვილმა მიისაკუთროს და მათი ექსპორტიდან მიღებული მილიონებიც საკუთარ მილიარდებს მიუმატოს!..**

**ოთარ ხუციშვილი**

## პიარი და რეალობა

# შუბი ხალთაში კვლავ ვერ დაიმალა

### ჩამორეიტინგებული საბანკო სისტემა და არაადეკვატური ეროვნული ბანკი

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით, საქართველოს საბანკო სექტორმა 142 ქვეყანას შორის 104-ე ადგილი დაიკავა, საბანკო კრედიტების გაცემის სიმარტივით კი ქვეყანა 79-ე ადგილზეა. ეს მონაცემები ძალიან ემწვავათ საქართველოს ეროვნულ ბანკში: ბოლო წლებია, ადგილობრივსა თუ უცხოელს დღენიადაგ საქართველოს საბანკო სისტემის უნიკალურობაზე ესაუბრებიან და სამარცხვინო რეიტინგი კი დაიმსახურეს.**

ეროვნულ ბანკში აღნიშნულ რეიტინგთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევა ხშირად რეალობასთან აბსოლუტურად შეუსაბამოა და საერთაშორისო ანალიტიკურ ჯგუფებშიც გაკვირვებას იწვევს.

**„როდესაც საუბარია საბანკო სისტემის მდგრადობაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კრიზისის დროსაც კი არ დამდგარა რომელიმე ქართული ბანკისთვის ფინანსური დახმარების საჭიროება. მეტიც: 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის დღეებშიც ბანკებს საკმარისი ლიკვიდობა ჰქონდათ იმისათვის, რომ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე დაეკმაყოფილებინათ დეპოზიტების გატანის მასშტაბური მოთხოვნა“,** — აცხადებენ ბანკში.

რაც შეეხება კრედიტების ხელმისაწვდომობის თემას, ეროვნული ბანკი აღნიშნავს, რომ 2011 წელს ძალაში შევიდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სესხის უზრუნველყოფის სახეობები და საშუალებები (განსაკუთრებით მოძრავი ქონების ნაწილში) და, შესაბამისად, უფრო მეტი კლიენტისთვის გახდა სესხი ხელმისაწვდომი.



ქადაგიძის უწყებას ისღა დარჩენია, თავი იმართლოს. თუმცა, ეროვნული ბანკი ამ საქმეშიც მოიკოჭლებს. საქმე ისაა, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში სულ 150 ქვეყანა ხვდება. ის ერთ-ერთი უსერიოზულესი კვლევაა და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზუსტ დიაგნოზს სვამს. ამ დროს კი სებ-ში ასეთ კომპეტენტურ კვლევას ეჭვქვეშ აყენებენ და „რეალობასთან აბსოლუტურად შეუსაბამოს“ უწოდებენ.

სამაგიეროდ, ქართველი ექსპერტები „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ შეფასებებს ეთანხმებიან. **„საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უსწრებს. მოსახლეობა გადახდისუუნაროა. რისკების მაჩვენებელი მაღალია. ბანკები ეკონომიკისგან მოწყვეტილია. ამას ისიც ამტკიცებს, რომ 2011 წელს საბანკო სექტორის მოგებამ 350 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა. ეკონომიკის დანარჩენი დარგები კი მოგების გაცილებით დაბალ მარჟაზე არიან ორიენტირებულნი“,** — აღნიშნა ექსპერტმა ირაკლი ლექვინაძემ.

რაც შეეხება კრედიტების ხელმისაწვდომობას, მისი აზრით, მეწარმეთათვის კრედიტები მეტისმეტად ძვირია, რაც ბაზარზე მოთამაშეების კონკურენტუნარიანობის განვითარებას უშლის ხელს. **„იმისათვის, რომ საქართველოში ბიზნესი კონკურენტუნარიანი იყოს, მას იაფი ფინანსური რესურსები სჭირდება“,** — აღნიშნა ლექვინაძემ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2012 წლის მარტის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკით არის წარმოდგენილი, მათ შორის, 16-ის საწესდებო კაპიტალი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით არის შექმნილი და ორი უცხოური ბანკის ფილიალია გახსნილი.

ეკონომიკის ექსპერტს სოსო არჩვაძეს სწორედ ბანკების რაოდენობა ეზედმეტება. იგი თვლის, რომ საქართველოს საბანკო სექტორი მაკროეკონომიკური კუთხით შორს არის მოწინავე პოზიციებისაგან:

**„ქვეყანაში საბანკო აქტივების ზრდა დაბალია. საბანკო სექტორის გამსხვილება უნდა გაგრძელდეს. 19 ბანკი, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობისა და ბანკების რესურსებიდან გამომდინარე, ბევრია.**

**მოსახლეობა ბანკში, ძირითადად, სამომხმარებლო სესხისთვის მიდის. სტატისტიკის თანახმად, აგრარული დანიშნულებისთვის აღებული სესხების რაოდენობა დაახლოებით 20-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე — იპოთეკისა და გირავნობისთვის აღებული სესხები. მოსახლეობა სესხებს იმისთვის კი არ იღებს, რომ მიწა დაამუშავოს, არამედ იმისთვის, რომ იმკურნალოს ან გადაუდებელი პრობლემები მოაგვაროს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა შემცირებულია და საბანკო სექტორის სიჯანსაღე — დაბალი“,** — ამბობს სოსო არჩვაძე.

**ეკა ბაქრაძე**

Presage.tv



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №189

# „ავტოპორტრეტი" – სახსოვარი

**საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" ეთერში, პროგრამაში – „დროის ჩანაწერები" შედგა მიხეილ კობახიძის „ავტოპორტრეტის" პრემიერა. ეს მშვენიერი სანახაობა მთავრდებოდა არაორდინალური ტიტრებით:**

**„ვუძღვნი ჩემს მაყურებელს"...**
**მიშა კობახიძე.**

**ჩემთან ერთად: ნინო ხოფერია, ზვიად მიქელაძე, ეკა ბარდანაშვილი, მიხო მანდარია".**

ჩვენ ვესაუბრეთ ამ შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, სტუდია **„ავტოგრაფის"** ხელმძღვანელს, ჟურნალისტ ნინო ხოფერიას და საპატრიარქოს ტელევიზიის გადაცემების **„დროის ჩანაწერების"** და **„ქართული ალბომის"** რეჟისორს ზვიად მიქელაძეს.

**ნინო ხოფერია:** ვფიქრობ, ამ ფაქტს არ სჭირდება განსაკუთრებული ინტერმედია. ჩვენი ტელევიზიის და, ალბათ, საერთოდ, ტელევიზიების ისტორიაში მოხდა არაჩვეულებრივი ფაქტი: ეპოქის დიდმა რეჟისორმა საკუთარი ავტოპორტრეტი შექმნა.

მიშა კობახიძე გამორჩეული ინდივიდუალობა და დიდი კულტურგერი, რომელმაც გავლენა მოახდინა რამდენიმე თაობის გემოვნების ჩამოყალიბებაზე, დღესაც, ჩვენს ცნობიერებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობს.

ის ორი კვირა, როდესაც იგი „ავტოგრაფის" სტუდიაში ძალიან პუნქტუალურად დადიოდა (პუნქტუალობა ხომ მეფეთა თვისებაა), შემოქმედებითი ჯგუფისთვის გახლდათ შეუფასებელი მასტერკლასი. უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მისი საუბრები, რეაქციები, არჩევანი, ენერგია, ბოლომდე ჩართულობა მუშაობის პროცესში.

გადაღებული მასალის დიდი ნაწილი არ ჩაეტია, ამ ე. წ. ფილმში (ჟანრის სპეციფიკა არ განგვისაზღვრავს) ეს კადრები, რა თქმა უნდა, ჩვენს არქივში დარჩება, მაგრამ იმ ყველაფერს მიღმა რაც მან გვითხრა, განმარტა თუ გააკეთა, არის რაღაც სიტყვებით გამოუთქმელიც... მისი ინტონაცია, ჟესტები, დეტალებზე რეაგირების საოცარი უნარი ჩვენში წარუშლელი კვალივით დარჩება... ეს არის დიდი მაესტროს სამუდამო სახსოვარი პირადად ჩვენთვის.

**– მიხეილ კობახიძესთან მუშაობის პროცესი ალბათ სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ...**

**ზვიად მიქელაძე:** – ეს იყო რთული, კარგი გაგებით, რადგან მიხეილ კობახიძე არის უკომპრომისო. ყველაფერს იწყებს თავიდან, სანამ არ მიაღწევს მისთვის სასურველი მონტაჟის საბოლოო ვარიანტს.

**– ანუ მას უყვარს ექსპერიმენტები?**

– ექსპერიმენტები შეიძლება არ დავარქვათ. ის მუდამ ძიების პროცესშია და სჯერა, რომ ყოველთვის შეიძლება იმაზე უკეთესი შედეგის მიღწევა, რაც თავიდან იყო ჩაფიქრებული ანუ იმაზე მეტი, რასაც დაწყების პროცესი ითვალისწინებდა.



**– რამდენ ხანს გაგრძელდა გადაცემაზე მუშაობა?**

დაახლოებით ორი კვირა. ამ შემთხვევაში მე ვამონტაჟებდი და ბატონი მიხეილი საუკეთესო მონტაჟური მონახაზის დროს ბევრ რამეს განმარტავდა. ძირითადად მისი საუბრები შეეხებოდა მონტაჟის სპეციფიკას. იყო მოულოდნელი სვლებიც მონტაჟში, რომელმაც შეიძლება მთლიანად დაარღვიოს არსებული მასალის თუ სცენარის ლოგიკური მსვლელობა. ბატონი მიშა ამბობდა, რომ მონტაჟი ცდაა და მანამდე არ უნდა მოეშვა ცდებს, სანამ არ მიაღწევ იმ სასურველ შედეგს, რომელიც იქნება აღმოჩენა და არა წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობა.



მონტაჟის რიტმი თავისთავად გულისხმობს, რომ ის არ შეიძლება იყოს სტანდარტული. ის დინამიკურია და მუდამ იცვლება. გააჩნია რას გულისხმობს, რა შინაარსისაა, რისთვის ამზადებს მაყურებელს, რომელი ეპიზოდიდან რა ეპიზოდში გადადის. ეს ყველაფერი არის ცვალებადი, ესე იგი ცოცხალი.

**– მაგრამ ხომ არსებობს რაღაც პროფესიული ორიენტირები, რასაც მუდამ ეყრდნობა რეჟისორი?**

– რეჟისორი უნდა გრძნობდეს კადრს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარკვეულწილად აუცილებელ პროფესიულ ცოდნას ემყარება. საბოლოოდ ძირითადად გამოდის ის, რასაც შენ გადაწყვეტ. მონტაჟის რიტმი გულისხმობს არითმიასაც. გააჩნია ჟანრს და შენს დამოკიდებულებას. სწორი რიტმი თვითონ შეგაძლებინებს გახვიდე საუკეთესო განვითარებამდე. ასე რომ, საუკეთესო შემთხვევაში, რიტმს თავად გაყავხარ რაღაც აღმოჩენამდე.

**– რა მასალის მიხედვით გაკეთდა მიხეილ კობახიძის ავტოპორტრეტი?**

– ჩვენ გადავიღეთ ბატონი მიხეილი თბილისის ძველ უბნებში, იქ, სადაც მუშაობდა „ქორწილზე". ასევე დაგვხვდა შედარებით უფრო ადრე გადაღებული რამდენიმე ინტერვიუ მასთან. ბატონ მიხეილს გაუჩნდა სურვილი, გადაცემა მისი ხელმძღვანელობით დამონტაჟებულიყო. სხვიხი გადაღებული მასალის დამონტაჟება ნებისმიერი რეჟისორისთვის იოლი არ არის, მაგრამ მიხეილ კობახიძე ამბობს, რომ მონტაჟი არის ის ეტაპი, რომელიც არ ცნობს შეუძლებელ და გამოუვალ მდგომარეობას და ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი მასალიდანაც კი კარგ რეჟისორსა და მემონტაჟეს საინტერესო ფილმის გაკეთება შეუძლიათ.

ბატონ მიხეილს მოჰყავდა მაგალითები თუ როგორ ასწავლიდნენ მას მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში მონტაჟის ხელოვნებას. სტუდენტებს აძლევდნენ სხვის მიერ გადაღებულ, უკვე დასრულებულ ფილმებს, რათა მათ თავიდან გადაემონტაჟებინათ. მაშინ მიშა კობახიძეს ანდობდნენ ასევე ერთი შეხედვით, წარუმატებლად გადაღებული მასალის დამონტაჟებას. დასრულებული მონტაჟით გაკვირვებული რჩებოდნენ თავად მასალის ავტორები.

**– რა არის თქვენთვის კობახიძის ფილმები?**

საერთო შეფასებით, კობახიძის ფილმები მნიშვნელოვნად მიაჩნიათ გამოხატვის ლაკონურობის გამო, რომ მის ფილმებს ახლავს უჩვეულო სიმსუბუქე, სილაღე. გამიგია ისიც, რომ იქ არის გარკვეული გავლენა ადრეული წლების ფრანგული ფილმებისა, მაგრამ ჩემი აზრით, კობახიძის ფილმებში არის ის განსაკუთრებული, უჩვეულო და ერთადერთი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კინოესთეტიკა, რაც მიუწვდომელია ამავე ჟანრში მომუშავე დასავლეთის სხვა აღიარებულ ხელოვანთათვის. ალბათ იმიტომაც, რომ აქ თითოეული კადრი არის დახვეწილი, ნატიფი, განსულიერებული. მასში სიცოცხლეა. ამ მხრივ „ქოლგა" განსაცვიფრებელ სრულყოფილებამდეა შესრულებული.

რეჟისორის არც ერთი კადრი არ არის „შემთხვევით" გადაღებული, არამედ ბოლომდე ნაგრძნობია, განცდილია და შემდეგ ხელობის დიდი ოსტატობითაა გადატანილი. სწორედ ამგვარი ფილმებით შეიძლება საუბარი ზოგადად კინოს ხელოვნებაზე. ცნობილია, რომ სიცოცხლის გადატანა ტილოზე, ქაღალდზე თუ კინოფირზე (ამ თითქოსდა მკვდარ მატერიებზე) ძალუძს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს. მიხეილ კობახიძის ფილმებში ახლებურად ცოცხლდება არა მხოლოდ ადამიანი, არამედ გარემოც, საგნებიც. ამიტომ ყოველთვის საინტერესო და სასურველია კობახიძის ფილმების არაერთგზის თავიდან ნახვა. ეს სინატიფე რაღაც სხვა სულიერ სიმაღლეებს გვანიჭებს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედება არის დიდი სიკეთე, დიდი ხელოვანის გზავნილი ადამიანებისათვის.

**– კობახიძე წლების დიდი ინტერვალებით იღებს ფილმებს..**

– ეს ინტერვალები, როგორც ჩანს, არ ქმნის ვაკუუმს. თავად განმარტავს, რომ მისი ექვსივე ფილმი რაღაც ერთ ფილმს ქმნის, თითქოს ერთი ადამიანის ცხოვრების სიუჟეტია. „ეს მე ვარო", ამბობს რეჟისორი. მისი ბოლო, საფრანგეთში გადაღებული ფილმის ქრონომეტრაჟი სულ 13 წუთია, მაგრამ იმდენი აზრი და განწყობილება იქმნება, იმდენი რამ ვითარდება, რომ ფიქრობ, სრულმეტრაჟიანი ფილმი ნახე. იდეურადაც და მხატვრული გადაწყვეტითაც აქ არის თხრობა იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე, რაც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია – სიმძიმე და ტვირთი მატერიალიზაციისა...

ძალიან საინტერესოა, რომ ბატონ მიხეილს უყვარს და შეუძლია კიდეც დროის და სივრცის სრულიად გაქრობა. ის არ აკონკრეტებს რა დროში, რა სოციალურ გარემოში, რა პერსონალიების თანამედროვეობაში ხდება მოქმედება (დრო და კონკრეტული სივრცე სრულიად გამორთულია მაგალითად ფილმში „მუსიკოსები").

ფილმში „გზაში" ჩვენ ვხედავთ ყველა დროის ადამიანის ზოგად ხატს. აქ, ახლაც და მერეც, მომავალშიც, ადამიანი ყოველთვის თავის თავს იგულიხმებს. ამიტომაც კობახიძის ფილმების შინაარსი ახლობელია ყველა ადამიანისთვის. საფრანგეთში გადაღებულ ფილმში, სახელწოდებით „გზაში", ახალგაზრდა კაცს აუხდება თავისი „საშინელი" სიზმარი და ბუნების უეცარი სტიქიის შედეგად კარგავს მთელ თავის ავლა-დიდებას. ეს გმირი უნივერსალურია იმითაც, რომ არ ვიცით კონკრეტულად რა ღირებულების საგნების დაკარგვა იწვევს მასში სტრესს. შეიძლება წარმოვიდგინოთ ყველაფერი, იმის მიხედვით, ვის რა გვეძვირფასება: დაწყებული ჩვეულებრივი ყოფითი საგნებიდან რელიკვიებამდე ან სულაც იქნებ ფილმის გმირი სხვა ადამიანების წინაშეა ამ ნივთების გადარჩენით პასუხისმგებელი. იგულისხმება ყოველივე ძვირფასი რაც შეიძლება ადამიანს გააჩნდეს და ის ყველაფერს კარგავს...

ჩვეულებრივ სიტუაციაში ეს ადამიანური ტრაგედიაა, მაგრამ მიხეილ კობახიძეს აქაც იმედი მოაქვს ჩვენთვის და შეიძლება ითქვას, ძალიან დამაჯერებლადაც. ის ამ ყოველივეს გვიჩვენებს, როგორც საბოლოოდ შვების მომგვრელ აქტს... ტვირთისგან, სიმძიმისგან პიროვნების გათავისუფლებას... ადამიანი კარგავს ცხოვრებისეულ ნივთებს, პრობლემებს, როგორც ბორკილებს და უბრუნდება რა ბუნებას, მთელ სამყაროს ერწყმის. სამყარო თავისუფალი ადამიანისაა. რეჟისორი პირდაპირ არ მიგვანიშნებს, მაგრამ აშკარად იკითხება სამყაროსთან ურთიერთობის რელიგიური განცდა. ბოლო კადრებში ისევ და ისევ გალობს პატარა რტოზე შესკუპებული სამოთხისეული მშვენიერი ჩიტი, რომლის ხმა მხოლოდ მაშინ მოესმა ფილმის გმირს, როცა ყოველივე მატერიალური დაკარგა...

**– ძალიან შთამბეჭდავი ფინალია.**

– როგორც ჩანს, ეს თემა მისთვის ახლობელი იყო. სამშობლოში დატოვებული უამრავი დარდი, ემიგრანტობის ტვირთი, პრობლემები... გამოსავლის ძიება მან ამ ფორმით გამოხატა.

**– და მაინც, სამწუხაროა, რომ ეს დიდი რეჟისორი სისტემატურად ვერ იღებს ფილმებს.**

– ის, თუ რატომ არ იღებს ბევრ ფილმს და როდის გადაიღებს მომდევნო ფილმს, უკვე მისი, როგორც შემოქმედის, ბედისწერის თემაა. არაფერს არ ვთვლი შემთხვევითად. არც იმას, რომ ჩვენს ტელევიზიაში, ჩვენთან ერთად გააკეთა რაღაც საქმე...

ის არ არის მხოლოდ ავტორიტეტი. როგორც გადაცემაში ითქვა, ის არის მითი. ჩვენი მასთან ეს ორკვირიანი მუშაობა იყო არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული რამ. საერთოდ კი ფაქტი ყოველთვის არის რაღაცის ნიშანი.

**მარი თუხარელი**

**სურათებზე: გადაღების პროცესი.**



# სახლის ალბომი

## გვიამბობს თამარ ნუცუბიძე:

როგორი იყო შალვა ნუცუბიძე შინ თუ გარეთ, როგორი იყო ყოფაში...

ჩემი მეგობრების მშობლებისგან განსხვავებით, მამაჩემი XIX საუკუნეში დაიბადა და თავად იყო მატარებელი იმ საუკუნისათვის დამახასიათებელი ზნეობრივ-მორალური კოდექსისა. გერმანოფილი გახლდათ: უყვარდა წესრიგი და სისტემა როგორც ფილოსოფიაში, ასევე ცხოვრებაში, თუმცა ამ – გერმანულ სისტემაში – საგულისხმო ქართული შტრიხები შეჰქონდა. სიმკაცრემდე ორგანიზებული იყო. მკაფიოდ ჰქონდა განაწილებული მუშაობის და დასვენების დრო. როცა თავის კაბინეტში, მაგიდასთან იჯდა, სახლში სრული სიჩუმე უნდა ყოფილიყო; თითის წვერებზე დავდიოდით. არ გვქონდა უფლება, ამხანაგები დაუკითხავად მოგვეყვანა და ზოგადად ადვილად ვერავინ შემოვიდოდა ჩვენთან.

საკუთარ სახლში ვცხოვრობდით ვერაზე, ყოფილ პეროვსკაიას, ამჟამინდელ ახვლედიანის ქუჩაზე, რომელზეც ხმაურით ზედიზედ ორ მანქანას რომ გაევლო, მოთმინებიდან გამოსული, ტელეფონისკენ იწევდა – უნდა დავრეკო ქალაქის საბჭოში და გავაგებინო, რომ მე აქ ვმუშაობ და სიწყნარე მჭირდებაო. ეს ხდებოდა ორმოციოდე წლის წინათ, როცა რამდენიმე მანქანის ერთიმეორის მიყოლებით გავლა იშვიათი ამბავი იყო ჩვენს წყნარ და მყუდრო ქუჩაზე. ამჟამად ეს ქუჩა ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი და სავაჭრო ცენტრია, რომელზეც არც დღისით და არც ღამით არ წყდება მანქანების სვლა...

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ აუცილებლად უნდა გაესეირნა. უყვარდა სიარული, იშვიათად ჯდებოდა ტრანსპორტში. მიდიოდა თავაწეული, ხან ორივე ხელი ზურგსუკან ჰქონდა შემოწყობილი,თან ცალ ხელში ტროსტი ეჭირა.უამრავი ადამიანი ესალმებოდა. თვითონაც  ხან ქუდს იხდიდა, ხან კი ქუდთან ხელის მიტანით უპასუხებდა. ეს ჟესტი დამამახსოვრდა: მომწონდა, რომ ვიღაცები მეფერებოდნენ, თავზე ხელს მისვამდნენ და ასე მივდიოდით ვერეს პარკში...

დიდი სტუმრიანობა ჩვენს ოჯახში არასოდეს ყოფილა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მამის მკაცრი დღის განრიგი იყო, რომელიც არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო. დედაჩემს ყველაფერი მამაჩემის გარშემო ჰქონდა აგებული. ჩვენც ვემორჩილებოდით. მოკლედ, ოჯახში ერთგვარი პატრიარქი  სუფევდა...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დედაჩემს უთხრა: ვერ ამჩნევ, რომ აღარ ვმღერიო?... და საოცარი რამ: გარდაცვალების წინა ღამეს, საავადმყოფოში მასთან მისულებს დაგვიძახა: ჩქარა, მოდით, ყველამ ერთად ვიმღეროთო „მრავალჟამიერ"... და ვიმღერეთ...



შალვა ნუცუბიძე



შალვა ნუცუბიძე ოჯახთან ერთად



შალვა ნუცუბიძის მეუღლე ქეთევან ნუცუბიძე კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან და პატრიარქის ქალიშვილებთან ერთად

# „კულტურა და ფილოსოფია" ქართულ-ამერიკულ რაკურსში

2012 წლის 20 აპრილს პარასკევ საღამოს, რუსთაველის პროსპექტზე, **პროსპეროს წიგნის მაღაზიაში** შედგა ქართულ-ამერიკული საერთაშორისო ჟურნალის **„კულტურა და ფილოსოფია"** ახალი ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალის დამაარსებელნი და გამომცემელნი არიან ჯორჯ მაკლინი (ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი) და მამუკა დოლიძე (თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი). ჟურნალი გამოდის ინგლისურ ენაზე, გაფართოებული ქართული რეზიუმეებით. იგი ვრცელდება საქართველოში და საზღვარგარეთ. ახალ გამოცემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობას.

მიმოიხილეს ახალ ქართულ-ამერიკულ გამოცემაში დაბეჭდილი, აგრეთვე ქართველი და უცხოელი ფილოსოფოსების ნაშრომები, საერთაშორისო კონგრესის (სტამბოლი, ესპანეთი) ფენომენოლოგიური კონფერენციის მასალები.

პრეზენტაცია გაიმართა ჟურნალის ქართველი და უცხოელი ავტორების მონაწილეობით.

რაც შეეხება თავად გამოცემას:

**ქართულ-ამერიკული ჟურნალის „კულტურა და ფილოსოფია" ახალი გამოცემა ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 34-ე  წლისთავს.**

**ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ფილოსოფიურ პრობლემათა და ღირებულებათა კვლევის საბჭო (ვაშინგტონი, აშშ) და საქართველოს ფენომენოლოგიური საზოგადოება (თბილისი, საქართველო).**

ეს საზოგადოება დაარსებულ იქნა **მამუკა დოლიძის** მიერ 2004 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი მაშინვე გახდა მსოფლიო ფენომენოლოგიური საზოგადოების წევრი, (პრეზიდენტი **ანა-ტერეზა ტიმიენიეცკა**), ხოლო 2011 წელს ესპანეთში, სეგოვიას კონგრესზე არჩეულ იქნა ევროპის ფენომენოლოგიური საზოგადოების წევრად.



**ჟურნალი გამოდის ყოველწლიურად, ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის გრიფით და საქართველოს ფენომენოლოგიური საზოგადოების სახელით.** მისი დამფინანსებლები არიან: საქართველოს სამხატვრო აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტი, ქალაქ თბილისის მერია და აგრეთვე თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჟურნალის ახალი გამოცემა, დაფინანსებული ქალაქ თბილისის მერიის მიერ, მოიცავს ქართველ ფილოსოფოსთა და მეცნიერთა ნაშრომებს (მამუკა დოლიძე, ვაჟა ნიბლაძე, ირაკლი კალანდია, მარინე ამბოკაძე, ლალი ჯოხაძე, მედეა შანავა, ინესა მერაბიშვილი) აგრეთვე, ამერიკელი ფილოსოფოსის – ოლგა ლუჩაკოვა-შვარცის (ამერიკის ტრანსფსიქოლოგიის ინსტიტუტი) და ჩეხი ფილოსოფოსის – ივან ჩვატიკის გამოკვლევებს.

ჟურნალში დაბეჭდილია მასალები, პროგრამები და აბსტრაქტები საერთაშორისო ფენომენოლოგიური კონგრესებიდან - (სტამბოლი, კულტურის უნივერსიტეტი 2011, ივნისი და ესპანეთი, სეგოვია 2011, სექტემბერი.) ასევე მოცემულია ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკანისტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციის შესახებ (მაისი, 2011წ.)

მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალის ახალი, 2010 და 2011 წლის გამოცემები მოიცავს ლიტერატურულ დამატებებს, სადაც აისახება ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართული, კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, კერძოდ, **დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისა,** თარგმნილი **ლალი ჯოხაძის** მიერ, მის მიერვე თარგმნილი ვაჟაფშაველას მოთხრობები, **ინესა მერაბიშვილის** მიერ თარგმნილი **გალაკტიონ ტაბიძის** პოეზია, **მანანა დუმბაძის** მიერ თარგმნილი **მაყვალა გონაშვილის** ლექსები, **კობა არაბულის** ლექსის თარგმანი **თინათინ არაბულის** მიერ, ფრაგმენტი **გრიგოლ აბაშიძის** ლექსიდან „არყოფნისაკენ," **ოთარ ჭილაძის** ლექსის თარგმანი და სხვა.

დაბეჭდილია ინგლისელი მწერლის, **პეტერ ნასმიშის** წიგნის **„საქართველო პოეზიის მწვერვალებზე"** მიმოხილვა  და აგრეთვე რეცენზია ქართველი ემიგრანტი მწერლის **ნიკოლოზ კოდუას** რომანზე **„მარადჟამიერი"**.

ორივე ამ წიგნის შეძენა შეგიძლიათ პროსპეროს წიგნის მაღაზიაში. **ჟურნალის გამომცემელი მადლობას უხდის პროსპეროს წიგნის მაღაზიას, რომელიც მასპინძლობდა ჟურნალის ბოლო გამოცემის პრეზენტაციას.**



ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

# ჩვენ, „თეთრები“ მართლები ვართ იმიტომ, რომ...

## ქვეყანას უნდა მართავდეს ხელისუფლება, ხელისუფლებას – ხალხი, ხალხს კი – ზნეობა და ინტელექტი

**„თეთრები“ პირველი შეკრებისთანავე შევთანხმდით, რომ ეს იქნებოდა საღ პოლიტიკურ აზროვნებაზე დაყრდნობილი, უდრეკი მოქმედებით უკომპრომისო მებრძოლი გუნდი საქართველოს ნათელი მომავლისთვის.**

**„თეთრები“ ვთვლით, რომ პოლიტიკური მოძრაობა, ძალა, პარტია არის ის: ვისაც აქვს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ღრმა ანალიზი; ვინც იცის ქვეყნის პოტენციალი; ვინც გრძნობს ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებს.**

**„თეთრები“ სწორედ ამ სამ კოლოსს ემყარებიან თავის აზროვნებაში, მოქმედებაში, მომავლისადმი იმედში.**

**ჩვენ** მართლები ვართ იმიტომ, რომ ჯერ ვფიქრობთ და მერე ვამბობთ.

**ჩვენ** მართლები ვართ იმიტომ, რომ ჯერ ვუსმენთ და მერე ვმოქმედებთ“ და ვუსმენთ ვის? – დღევანდელი საქართველოს საუკეთესო შვილებს – მსოფლიოში წარმოჩინებულ და პატივმიგებულ მეცნიერებს, შემოქმედებს, სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებულ მოაზროვნეებს.

შეიძლება ვინმეს, ვინც არ გვიცნობს, გადაჭარბებული ეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ხშირად ვეთათბირებით აზროვნების ტიტანებს – ჩვენს დიდ წინაპრებს. მათი ინტელექტუალური მემკვიდრეობის გააზრება და დღევანდელ რეალობაში გადმოტანა – ეს არის საქართველოს ხვალინდელი დღე, რამეთუ სიბრძნეს დრო და სივრცე არა აქვს.

ჩვენ, ქართველებს, გვყავს ასობით წლის წინათ მცხოვრები აზროვნების ბუმბერაზები, რომლთა იდეებით დღეს ცხოვრობს ცივილიზებული მსოფლიო და რომელთა ქანდაკებების დანახვაც არ სურს ჩვენს უკეთურ ხელისუფალს.

ჩვენ, აზროვნების მარადუკვდავი ტიტანების შთამომავლებმა, შევძელით ქვეყნის აწმყოს ანალიზზე, სამომავლო პოტენციალსა და მსოფლიო პროცესების ცოდნაზე დამყარებული პოლიტიკური ძალის შექმნა, რომელიც ხავერდოვნად, ბუნებრივად და უმტკივნეულოდ გარდაისახა ინტელექტზე დაყრდნობილ პარტიად. ივლისის თვეში ჩვენ გვექნება პატივი, მშობელ ერს წარვუდგინოთ პარტიის სამოქმედო პროგრამა სახელწოდებით „საქართველო ხვალ“.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ყველა სხვა ღირსეული პოლიტიკური ძალის დამსახურებასა და ღვაწლს ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მეტად მტკივნეულ პროცესში. მაგრამ, ჩვენთვის მიუღებელია მექანიკური თანამშრომლობა-დილოგი-შეერთება-კოალიცია, როდესაც ამ პროცესს არა აქვს პრინციპებზე დაყრდნობილი რეალური საფუძველი.

**ჩვენ კარგად ვხედავთ, რა მოუტანეს ქვეყანას უპრინციპო და უპროგრამო პარტიებმა, უმეცრებითა და გონებადაკარგული პოლიტიკოსებით სავსე მმართველმა თუ ვაიოპოზიციურმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა. ბოლო ოცი წელია, ქვეყანა იმართება არა გონებით, არამედ ემოციებით, თანაც ეს ემოციები ფრიად არაკეთილშობილურია, მეტიც, ემყარება ერთეულთა ქვენა გრძნობებსა და არაკაცურ ინსტინქტებს.**



**პოლიტიკოსთა ყველა თაობას, იმის მიუხედავად, სად იყო ამ ოცი წლის მანძილზე, თავის წილი პასუხისმგებლობა ეკისრება იმისთვის, რომ ქვეყანა დღეს მიიყვანეს მდგომარეობამდე, როცა შესაძლებელი გახდა არაქართული ცნობიერების ძალების ხელისუფლებაში მოყვანა.**

ჩვენ პიროვნულად არავის ვუპირისპირდებით, ამ ქვეყნისმოძულე რეჟიმის ხელმძღვანელებსაც კი. ჩვენ ვებრძვით მათ შორიდან თავსმოხვეულ იდეებს, რომლითაც სურთ ჩაკლან ქართული სული, ქართული აზროვნება, ქართული მენტალიტეტი.

ძალიან დიდი პატივი იქნებოდა დღვანდელი ხელისუფლებისთვის, პიროვნულ სიბრტყეზე გადაგვეტანა მათთან დაპირისპირება. ჩვენ მარიონეტებთან, ანუ ტიკინებთან, არაფერი გვესაქმება. ყველა უბედურების სათავე მათი სოროს-ბენქლაფ და ასე შემდეგ პატრონები არიან, რომელთაც სურთ ქართული ცნობიერების წაშლა, ქართული სახელმწიფოს დაშლა, ქართული სულიერების ამოშანთვა; რომელთაც სურთ ქართული მიწა, ქართული წყალი, ქართული ზეცა – უქართველებოდ... და ნელა-ნელა აღწევენ კიდეც მათგან ხელდასხმულ დღევანდელ ხელისუფალთა წყალობით.

**ქვეყანაში დიდი პოლიტიკური კონფლიქტია.** მხედველობაში არამც და არამც არა გვაქვს კონფლიქტი პარტიებს, ჯგუფებს და, მით უმეტეს, პიროვნებებს შორის. ეს არის კონფლიქტი ქვეყნის დღევანდელი დღისა და მომავლის ხედვის ორ ფუნდამენტურ მიმართულებას შორის.

**პირველი მიმართულება იბრძვის ქვეყნის განვითარებისთვის, მისი ბუნებრიობიდან გამომდინარე გზით (და ეს პროცესი ძლიერდება ევროპაშიც).**

**მეორე მიმართულება ჯიუტად აგრძელებს ერის მენტალიტეტის შეცვლის კურსს.**

ჩვენ პირველებთან ერთად ვართ, ანუ იმათთან, ვისაც სწამს, რომ საქართველო უნდა იმართებოდეს ერის ბუნებიდან, ისტორიიდან, მენტალიტეტიდან გამომდინარე და არა მენტალიტეტის შეცვლით, რასაც ასე დაუღლელად აკეთებენ სოროსი – თავისუფლების ინსტიტუტი – ხელისუფლების სტრუქტურები და იმათი ერთგული თანამოაზრეები.

**ჩვენ ვაცხადებთ: საქართველო არ არის მარტო ტერიტორია, საქართველო არის ქართული ცნობიერება.**

**ჩვენ ვაცხადებთ – „თეთრები“ ვართ პარტია, რომელიც, ერთი მხრივ, ეფუძნება კაპიტალიზმის უმთავრეს პრინციპს – კონკურენტული გარემოს შექმნას და კონკურენციის მემარჯვენე იდეებს, ხოლო, მეორე მხრივ, აღიარებს ევროპული, ანუ შვედური სოციალიზმის მთავარ მონაპოვარს – ადამიანის დაცულობას.**

ამ პრინციპს ეყრდნობა „თეთრების“ დამფუძნებელთა მორიგ კონგრესზე გაკეთებული განცხადება, საიდანაც აშკარად ჩანს, ვისთან შეიძლება ჩვენ ვითანამშრომლოთ და ვისთვის შეიძლება ჩვენ ვიყოთ მისაღები პოლიტიკური პარტნიორი.

ჩვენ ვთვლით, რომ გარესამყაროსთან საქართველოს ურთიერთობას უნდა ჰქონდეს ორი მძლავრი საყრდენი: ინტელექტი და ბიზნესი. პირველით ძლიერია ქვეყანა, ხოლო მეორეს უდიდესი პოტენციალი აქვს სწორედ ინტელექტიდან, ადამიანური, ბუნებრივი და გეოგრაფიული რესურსებიდან გამომდინარე.

**ეს არის ჩვენი პოლიტიკური პლატფორმა. ამის შემდეგ ჩვენ გზა გახსნილი გვაქვს ყველა ძალასთან, ყველა მოქალაქესთან, რაც დღემდე გარკვეულად შეზღუდული იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და რეჟიმული მდგომარეობიდან გამომდინარე.**

**ეს წერილიც და ჩვენი განცხადებაც არის გამოწვევა: გამოწვევა პოლიტიკური პარტიებისადმი – რათა ვიპაექროთ არსებული პოლიტიკური ანალიზითა და პროგრამებით; გამოწვევა მოქალაქეებისადმი – რათა შეადარონ სხვა პარტიების პროგრამებს და გონების თვალით შეხედონ რეალობას, შემდგომ სწორი გადაწყვეტილების მიხედვით. ჩვენი პროგრამები სრულად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე www.tetrebi.org**

**ქართული მენტალიტეტი, ქართულად აზროვნება ჩვენთვის არის საფუძველთა საფუძველი, ყველა დანარჩენი კი ზედნაშენია.**

**ქართული ცნობიერება არის ის წყალგამყოფი, რომელმაც ერთი მხრივ, უნდა განაცალკევოს ურთიერთმიუღებელი პოლიტიკური ძალები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ეტაპზე, ერთ მუშტად უნდა შეკრას ამ საკითხებში თანამოაზრეთა გუნდი, ყველა სხვა განსხვავების, დროებით, მეორე პლანზე გადატანით.**

**მომავალი ბედნიერებაშია; ბედნიერება გამარჯვებაშია; გამარჯვება ბრძოლაშია. ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი.**

**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი

## ახალი პოლიტიკური ძალის „თეთრი მოძრაობის“ დამფუძნებელთა კონგრესის პოლიტიკური განცხადება

**წლის დასაწყისში „თეთრებმა“ განვაცხადეთ, რომ მიმდინარე წლის 7 აპრილს, დაარსების 3 წლისთავზე, ჩატარდებოდა პარტიის დამფუძნებელთა კონგრესის პირველი სხდომა, ხოლო 2 თვის მუშაობის დამაგვირგვინებელი აკორდი იქნება პარტიის კონგრესი.**

**დღეს, როდესაც დათქმულ ვადამდე რამდენიმე თვე რჩება, ჩვენ ვადასტურებთ, რომ პარტიის კონგრესი ჩატარდება ივნისის დასაწყისში და გვსურს ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას განცხადებით მივმართოთ.**

განვლილი სამი წლის მანძილზე ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობდით. ექსპერტთა და მეცნიერთა ჯგუფთან თანამშრომლობით. შევისწავლეთ ფართო სპექტრის პრობლემები, რომელთა საფუძველზე მოვამზადეთ დოკუმენტი „საქართველო დღეს“. მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მივიღეთ კაპიტალური ნაშრომი, რომლის წყალობით ჩვენ ზუსტად ვიცით:

**პირველი** – მდგომარეობა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში;

**მეორე** – ქვეყნის პოტენციალი – ადამიანური, ინტელექტუალური, ეკონომიკური, ფინანსური და ა.შ.

**მესამე** – კონტურები პროგრამისა „საქართველო ხვალ“, რომელსაც წარვადგენთ კონგრესის დასკვნით სხდომაზე.

ინტერნეტში ჩვენი ვებგვერდი მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში იხსნება, ამ ხნის მანძილზე იგი 200 ათასმა ვიზიტორმა დაათვალიერა, ხოლო ჰიტების რაოდენობა მილიონს აჭარბებს.

ეს ჩვენი მუშაობის მხოლოდ ნაწილია. ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო, განგვესაზღვრა ის ფუნდამენტური იდეები, რომლებსაც პოლიტიკური ძალა „თეთრები“ დაეყრდნობა თავის მოღვაწეობაში.

მოცემული განცხადება არის ლოგიკური გაგრძელება 2009 წლის 7 აპრილს გაკეთებული საინიციატივო ჯგუფის განაცხადისა, რომელიც დღესაც ჩვენი სამუშაო საპროგრამო დოკუმენტია.

ამასთან, ჩვენ მიგვაჩნია:

**პირველი – დღეს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ქვეყნის გამოყვანა მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობიდან;** დაძაბულობა და არასტაბილურობა, სამწუხაროდ, ახალი, დამოუკიდებული საქართველოს არსებობის განუყოფელი ელემენტი გახდა; ჩვენ პრაქტიკულად ყოველთვის ვართ, ერთი მხრივ, საომარ, წინასაომარ მდგომარეობაში, მეორე მხრივ, ხელისუფლების ნაადრევი განდევნის მცდელობაში.

**მეორე** – სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარ პირობად ჩვენ გვესახება ის, რომ საზოგადოება, ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ დაადგეს გზას, რომლის მიხედვითაც **არც ერთ დიდ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს სურვილი, საქართველოს ხელისუფლება მისი პროექტი იყოს,** – ზედიდი და დიდი სახელმწიფოები ჩვენი პარტნიორები უნდა იყვნენ და, თუ რაიმე ინტერესები აქვთ რეგიონში, უნდა გაითვალისწინონ ჩვენი ინტერესებიც, რაც საქართველოს სუვერენობის რეალურ აღიარებას ნიშნავს.

**მესამე** – ჩვენ მშვენივრად გვესმის ისიც, რომ **დღეს საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა** რუსეთი და ის ვითარება, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ჩამოყალიბდა. ყველა შემთხვევაში ჩვენთვის ამოცანაა ქვეყნის **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა,** რის შემდეგ ჩვენი ფორმალური სუვერენიტეტის რეალური შინაარსით შევსება, რაც, კერძოდ, იმასაც გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს საშუალება ჩვენი რეგიონული და საერთაშორისო ფუნქციების შესრულებისა პარტნიორ ქვეყნებთან თანაბარუფლებიანი თანამშრომლობით.

**მეოთხე – ჩვენ ამავე დროს არც ერთ პარტიას არ ვიწუნებთ, რომელსაც რომელიმე ზედიდ სახელმწიფოზე აქვს ორიენტაცია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ უნდა არსებობდეს ისეთი პოლიტიკური ძალაც, რომელიც ქართულია** და მხოლოდ ასე უნდა აგება თავისი მრავალვექტორული საგარეო ურთიერთობისა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან. – სხვათა შორის, ეს ამ სახელმწიფოებისთვისაც მომგებიანია.

**მეხუთე** – სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთ პირობად ჩვენ ასევე მიგვაჩნია იმ ქაოსის დაძლევა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია შექმნილი. ჩვენ, კერძოდ, დარწმუნებულები ვართ, რომ **საქართველო უნდა დაეყრდნოს „კონვერგენციის თეორიას“,** რომელიც კაპიტალიზმის (საბაზრო ეკონომიკისძ და ევროპული (შვედურიძ სოციალიზმის ძირითად პრინციპებს აერთიანებს. – სხვათა შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პარლამენტმა თავისი მოღვაწეობა სწორედ ამ იდეის დეკლარირებით დაიწყო. **საამაყოა, რომ ის, რაც ჩვენ ორი წლის წინათ ვაღიარეთ ჩვენი მოღვაწეობის გენერალურ მიმართულებად, 2011 წლის დავოსის მსოფლიო ეკონომიკურმა სამიტმა მიიჩნია მსოფლიოს განვითარების მომავლად.**

**მეექვსე** – საქართველოს ჰაერივით სჭირდება **მდგომარეობა, როდესაც** კონკურენციის პირობებში **ადამიანები ოპტიმალურად იქნებიან დაცულნი.**

**მეშვიდე** – არავითარი სტაბილურობა არ იქნება, თუ ქვეყნის – **საკუთარი ქვეყნის – ბატონ-პატრონი** ერთხელ და სამუდამოდ არ **გახდება ხალხი,** როგორც ერთადერთი სიუზერენი, **რომელსაც აქვს სამოქალაქო ღირსებისა და სამოქალაქო პროტესტის გრძნობა,** და პოლიტიკოსებსა და პარტიულ ლიდერებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ მისცემს საშუალებას, მიიღონ ერთპიროვნული და ანონიმური გადაწყვეტილებები.

**ეს გახლავთ „თეთრების“ ფუნდამენტალური პრინციპები, იმ საპროგრამო პრინციპებთან ერთად, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩვენს 2009 წლის 7 აპრილის განცხადებაში.**

**ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყნისთვის, მთელი საზოგადოებისთვის დადგა სოლიდარული მოქმედებების დრო – სხვანაირად ქვეყანა თავს ვერ დააღწევს სტაგნაციას. სოლიდარული მოქმედება აუცილებელია დღეს – მომავალი არჩევნების წინ.**

**ჩვენ ვართ იმ პოლიტიკურ ძალებთან და იმ პარტიებთან ერთად, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში უნდა დაინერგოს პრინციპი: ქვეყანას მართავს ხელისუფლება – ხელისუფლებას მართავს საზოგადოება – საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.**

**ჩვენი შეხედულებების დეკლარირებისას ჩვენ მივმართავთ პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს: ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის, იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება!**

„თეთრების“ დამფუძნებელთა კონგრესი
თბილისი, 2012 წლის 7 აპრილი www.tetrebi.org

მოვლენა

***ახლახან გამოიცა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები, რაც სრულიად ახალი მოვლენაა ქართველებისა და ოსების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში. ლექსიკონების წარდგინება გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში და მისი ინიციატორი იყო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“. წარდგინებას წარუძღვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ხოლო ლექსიკონის მნიშვნელობა წარმოაჩინა ამ ნაშრომის შემქმნელმა, პროფესორმა ნაირა ბეპიევმა.***

***ლექსიკონის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა ასეთია: მთავარი რედაქტორი, პროფესორი ნაირა ბეპიევი; რედაქტორები: აკადემიკოსი ნაფი ჯუსოითი (ცხინვალი), პროფესორი ტამერლან გურიევი (ვლადიკავკაზი), აკად. წევრ.-კორ. ავთანდილ არაბული (თბილისი), პროფესორი ნინო პოპიაშვილი (თბილისი);***

***რეცენზენტები: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე (თბილისი), პროფესორი სონია გიპერტ-ფრიტცი (ფრანკფურტი), დოცენტი ევგენი ბოცოევი (ვლადიკავკაზი);***

***წარდგინების შემდეგ ვესაუბრეთ ბატონ ავთანდილ არაბულს.***

# ავთანდილ არაბული: მეცნიერნი და ხელოვანნი ურთულეს ვითარებაშიც კი ვაიპოლიტიკოსების მიერ დანგრეულ ხიდებს ამთელებენ



**— ბატონო ავთანდილ, როგორც აღინიშნა, ქართულ-ოსური ლექსიკონი ერთადერთხელ გამოიცა გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა... და ამდენწლიანი შესვენების შემდეგ როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?**

— დღემდე ოსურ-ქართული ლექსიკონი არასოდეს გამოცემულა. რაც შეეხება ქართულ-ოსურ ლექსიკონს, ის შეადგინა პ. სანაკოევმა და გამოიცა 1955 წელს; მაგრამ იმ ლექსიკონს ფაქტობრივად არ უმუშავია. საგრძნობლად ნაკლული იყო ახლანდელ ლექსიკონთან შედარებით.

დღეს წარმოდგენილი ნაშრომი არის ახალი ფურცელი, პირველი მცდელობა ასეთი ლექსიკონის შედგენისა. წიგნი გამოიცა ქართველი და ოსი ლექსიკოლოგებისა და ლინგვისტების ერთობლივი შრომის შედეგად. ლექსიკონზე მუშაობდნენ ქართველი და ოსი მეცნიერები თბილისიდან, ცხინვალიდან და ვლადიკავკაზიდან.

უნდა აღვნიშნო მთავარი რედაქტორის ნაირა ბეპიევის განსაკუთრებული ღვაწლი ამ საქმეში. ლექსიკონის შედგენა იოლი არ არის, შესაბამისი მასალა წლების განმავლობაში მზადდება; ქალბატონმა ნაირამაც ეტყობა დიდი ხნის წინათ ჩაიფიქრა მისი გამოცემა. თავადაც საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანი და მოღვაწეა. დაამთავრა ცხინვალის მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ თსუ ასპირანტურა ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. სხვადასხვა დროს ქართულ ენას ასწავლიდა სტუდენტებს. ამავდროულად მან არასამთავრობო ორგანიზაციაც ჩამოაყალიბა ქართულ-ოსური გართულებული ურთიერთობების მოსაგვარებლად. მოღვაწეცაა და პედაგოგიც, მეცნიერული ნაშრომების ავტორიც. საკმაოდ ჩახედულია არა მხოლოდ ქართულ-ოსურ ენობრივ და კულტურულ ურთიერთობებში, ქართველოლოგიის საკითხებშიც. მის მოკრძალებაზე მეტყველებს ის, რომ ლექსიკონს, ავტორის ნაცვლად, მთავარი რედაქტორი აწერია... აღსანიშნავია, რომ მისი ქალიშვილი ნინო პოპიაშვილიც ლექსიკონის ერთ-ერთი რედაქტორია.

იმის მიუხედავად, რომ წლების განმავლობაში დიდი იყო მოთხოვნა ამგვარი ლექსიკონების გამოცემისა, სამწუხაროდ, ეს დღემდე მაინც ვერ მოხერხდა.

**— რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ლექსიკონის გამოცემა?**

— წიგნის წარდგინებას, სამეცნიეროს გარდა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი დატვირთვა ჰქონდა; ეს თემა ოსური ეროვნების მოსახლეობას და, უწინარესად, უკანასკნელ ხანს ახლად გაღვივებულ კონფლიქტს უკავშირდება. ალბათ, ამიტომაც აიტაცეს ეს თემა ტელევიზიებმა, რადიომ, გაზეთებმა... ლექსიკონი ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობების განვითარებაში სრულიად ახალი ეტაპია და დღევანდელ დაძაბულ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

საგულისხმოა ისიც, რომ ლექსიკონების წარდგინებას საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი თამაზ გამყრელიძე უძღვებოდა. ამ თავისთავად მნიშვნელოვან ფაქტს სიურპრიზიც ახლდა: ბატონმა თამაზმა ორ წიგნად აკინძული ხელნაწერის ფოტოპირი გამოიტანა. ეს არის ხელნაწერი სახარებისა ოსურ ენაზე, ქართულიდან თარგმნილი და ქართული ანბანით შესრულებული. ეს სახარება XX საუკუნის დასაწყისში თარგმნა იოანე იალღუზისძემ (გაბარათიმ). იგი დაბადებულა 1770 წელს ჯავის რაიონში, განათლება ერეკლე მეფისა და გიორგი XII სამეფო კარზე მიუღია.

იოანე იალღუზისძემ ხელი მოჰკიდა ოსეთის წარსულის შესწავლას. მე-19 საუკუნის ბოლოდან სათავეში ჩაუდგა ოსურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ძალზე ცნობილი მწიგნობარია. 1802 წელს მან (ზეპირი გადმოცემით) ქართული ანბანის საფუძველზე შექმნა არსებითად პირველი ოსური ანბანი. იოანემ დაწერა ოსური ენის სახელმძღვანელო (ქართული შრიფტით). ქართულიდან ოსურად თარგმნა „სახარება“ (ოთხთავი მთლიანად), კატეხიზმო, ლოცვანი. იგი ბევრგან ჩანს, როგორც კალიგრაფი, გადამწერი. ერეკლე მეფის რძალს — ქეთევანს სულხან-საბას „ქართული ლექსიკონის“ გადანუსხვაც დაუვალებია. აღსანიშნავია, რომ წარმოშობით ოს აზნაურს გადაუწყვეტია ოსური ენის მოვლა და ეს საქმე ქართულ მწიგნობრობაზე დაუფუძნებია.




სწორედ მისი სახარებისეული ხელნაწერი წარმოადგინა იმ დღეს ბატონმა თამაზმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხელნაწერის ფოტოასლი მაშინდელი ლენინგრადის საცავიდან ცნობილ ოს მეცნიერს, აკად. ვასილ აბაევს გამოუგზავნია აკად. გიორგი ახვლედიანისთვის.

გიორგი ახვლედიანი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მრავალმხრივი მკვლევარი იყო და ლინგვისტური მეცნიერების რამდენიმე დარგში მოღვაწეობდა. გიორგი ახვლედიანის სახელს უკავშირდება ოსური ენის ფონეტიკის, დიალექტოლოგიისა და გრამატიკის შესწავლაც. მისი რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის გრამატიკის ორტომეული. ვასილ აბაევმა სწორედ გიორგი ახვლედიანს გამოუგზავნა ხელნაწერი საპატრონოდ. ეს არაჩვეულებრივი ისტორიული დოკუმენტი დასტურია იმისა, როგორ ზრუნავდნენ ქართველები ოსური ენისა და კულტურის განვითარებისთვის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის დაპირებით, უახლოეს ხანში ეს ფოტოპირები გამოქვეყნდება, როგორც ოსური ოთხთავის უნიკალური დოკუმენტი.

**— ცნობილია, რომ გრანტებით დაფინანსებული წიგნების დიდი ტირაჟით გამოცემა ვერ ხერხდება. ამ ლექსიკონის რამდენი ეგზემპლარი დაისტამბა?**

— ლექსიკონი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამა „კოზერმის“ მხარდაჭერით დაფინანსდა. გრანტები რომ არ არსებობდეს, მეცნიერებას დიდი შეწევნა არა აქვს ჩვენს ქვეყანაში. წიგნი 400 ცალი დაიბეჭდა და ლექსიკონისთვის ეს ტირაჟი ძალიან ცოტაა.

ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები მოიცავს 25 000-ზე მეტ სიტყვას თითოეულ ენაზე. მაგრამ ვფიქრობ, მისი ერთ წიგნად გამოცემა მოსახერხებელი არ არის. ზოგს ქართულ-ოსური სჭირდება, ზოგს — პირიქით. წარდგინებაზე ქალბატონმა ნაირამ ილაპარაკა პროექტზე და აღნიშნა, რომ ლექსიკონი არ მთავრდება, პირიქით — ეს დასაწყისიაო, და მომავალში, მის კიდევ უფრო დახვეწასთან ერთად, ცხადია, ამ ორი ლექსიკონის დამოუკიდებლად გამოცემაც იგეგმება.

ლექსიკონი მართლაც ისეთი ნაშრომია, რომელიც თითქმის არასოდეს მთავრდება. მისი შევსება და სრულყოფა მუდმივად მიმდინარეობს. ერთი წელიც რომ გავიდეს, ათეულობით სიტყვა გამოჩნდება, რომლებიც დაგენანება, რომ არ შეიტანე. ქალბატონი ნაირა აპირებს მუშაობის გაგრძელებას და, ბუნებრივია, სრულყოფა მუდმივად მოხდება.

**— ლექსიკონზე ქართველი და ოსი მეცნიერები ერთად მუშაობდით. შესაძლოა ეს პირველი მერცხალიც აღმოჩნდეს ქართულ-ოსური ურთიერთობის დათბობის გზაზე...**

— მე ერთ-ერთი რედაქტორი და ქართულ ნაწილზე პასუხისმგებელი ვარ. ნაფი ჯუსოითი ცხინვალიდანაა, ჩვენი აკადემიის საპატიო წევრია. ვლადიკავკაზელი პროფესორი ტამერლან გურიევი კი აკად. არნოლდ ჩიქობავას პრემიის ლაურეატია. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჩვენს მეცნიერებთან და ხშირად ჩამოდის საქართველოში. ოსურ ნაწილს ეს ორი პროფესორი აკონტროლებდა.

გულზე მომხვდა ნაფი ჯუსოითის მოკლე და ძალზე თბილი წინასიტყვაობა. ლექსიკონს აფასებს და თან პერსპექტივაზე ლაპარაკობს. მტრობით და ბოროტებით არავის არასდროს არაფერი მოუგიაო, დასძენს იგი, და მართალიც არის. ყველამ კარგად დაინახა, როგორი მებრძოლი აღმოჩნდა სამართლიანი არჩევნებისათვის ქალბატონი ალა ჯიოევა. სანიმუშოა მისი თავგანწირვა, პატრიოტიზმი. მან თავი გადადო, რომ საკუთარი ხალხისთვის მიეხედა. მას ენდობოდნენ... იმის მიუხედავად, რომ ხმა გაუყრცელეს, პროქართული ძალაა და მოსკოვმა იმიტომ არ დაუჭირა მხარიო. პროქართულობა ყოფილა ის, რომ ადამიანი საკუთარი ხალხის საარჩევნო უფლებას იცავს!..

ამას პოლიტიკისთვის კი არა, იმისთვის ვლაპარაკობ, რომ დიდ საქმეს აკეთებენ მეცნიერნიც და ხელოვანნიც, რომელნიც ურთულეს ვითარებაშიც კი ვაიპოლიტიკოსების მიერ დანგრეულ ხიდებს ამთელებენ. ამიტომაც ჭეშმარიტად პროქართული და პროოსური ძალაა ქალბატონი ნაირა, რადგან ის ჩვენი ხალხის კულტურული თანაცხოვრების უძვირფასეს ტრადიციებს აგრძელებს და ამკვიდრებს... ეს ხომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე მკვიდრი გამოცდილებაა!..

**— ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული ლექსიკონების გამოცემის თვალსაზრისით რა ვითარებაა?**

— ცნობილმა აფხაზოლოგმა თეიმურაზ გვანცელაძემ ბოლო დროს, ასევე საგრანტო დაფინანსებით, ლექსიკონებიც შეადგინა და გრამატიკული ნარკვევებიც დაურთო; ასე რომ, საქართველოში აფხაზურის შესწავლა კვლავაც გრძელდება. მაგრამ თავად აფხაზურ ენას, ცხადია, სახარბიელო პერსპექტივა არა აქვს. საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზური იყო (და დღემდე არის) სახელმწიფო ენა. ამ სტატუსს გარანტიებიც ჰქონდა... შეუძლებელია ამგვარი გარანტიები აღმოჩნდეს თვალუწვდენელ იმპერიაში, რომელსაც საკუთარი პერიფერიებისათვის ვერ მიუხედავს (ან ისე მიუხედავს — მტრისას!)...

მსოფლიოში, საზოგადოდ, მძიმე ვითარებაა ამ თვალსაზრისით... საქართველოს რომ სახელმწიფო ენის, კულტურის განვითარების, სკოლის, უმაღლესი განათლების პრობლემა ექნება, რა უნდა გააკეთოს მცირერიცხოვანმა ერმა? ერთადერთი ალბათ ის, რომ ეს ენა სკოლის დონეზე მაინც შეინარჩუნოს. ენების გადარჩენის საკითხი დგას. საქართველოზე უკეთესი სიტუაცია ამ თვალსაზრისით მსოფლიოში არ მეგულება, რადგან მენტალიტეტიც ასე ჩამოგვიყალიბდა — ტოლერანტობა, შენახვა, დაცვა... და, ვფიქრობ, პერსპექტივა სწორედ ამას აქვს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

**P. S. აღსანიშნავია, რომ ქართულ-ოსურ და ოსურ-ქართულ ლექსიკონებს ერთვის ოსური ენის გრამატიკული ნარკვევი (აკადემიკოსი ვასილ აბაევი) და ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა (აკადემიკოსი ავთანდილ არაბული). წიგნს დართული აქვს გამოყენების წესები ოსურ და ქართულ ენებზე, ოსური და ქართული ანბანი ტრანსკრიფციით, ასევე — შემოკლებები, განმარტებები და სხვ.**

ინფორმაცია

## აფხაზეთში ოთხასამდე რუსი სამხედრო სპეციალისტი ჩავა

**ოკუპირებულ აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე აპრილის ბოლომდე რუსეთიდან 400 უმცროსი სპეციალისტი ჩავა. „აფსნიპრესის“ ინფორმაციით, მათ 3-თვიანი წვრთნა რუსეთის თავდაცვის ცენტრებში გაიარეს.**



**სამხედრო ბაზები დაკომპლექტდება კარგად მომზადებული სპეციალისტებით.**

**გარდა ამისა, ადიღეას პოლიგონზე წვრთნას გაივლის 1500-მდე ახალწვეული, რომლებიც შემდეგ სამხედრო სამსახურს ოკუპირებულ აფხაზეთში მდებარე რუსულ სამხედრო ბაზაზე გაივლიან.**

ინტერპრესი

კრივი

# თურქეთში თურქაძემ იყოჩაღა

## მე–12 ლიცენზია ტრაბზონის რინგიდან



**ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება. ქართველებს კი საგზურების მფლობელთა რაოდენობით არც ისე სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს, თუმცა აპრილ–მაისში რამდენიმე სალიცენზიო ტურნირია დარჩენილი და იმედია, მათი რიცხვიც გაიზრდება. გუშინწინ ჩვენს ოლიმპიურ დელეგაციას მე–12 საგზური მერაბ თურქაძემ (56 კგ) მოუტანა. თურქულ ტრაბზონში ევროპელ მოკრივეთა ბოლო სალიცენზიო ტურნირი გაიმართა, რომელშიც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რამაზ ფალიანის რვა შეგირდი მონაწილეობდა.** თურქაძემ პირველ წრეში ჩეხი ველკი დაამარცხა (18:4ძ, შემდეგ რუმინელ ანდიანას სძლია (21:11ძ და ნახევარფინალში გავიდა, რამაც ქართველ სპორტსმენს ბრიტანეთის დედაქალაქში გასამგზავრებელი ბილეთი დაუჯავშნა, რადგან მის წონაში ოთხი საგზური თამაშდებოდა.

ტრაბზონის რინგზე ჩვენებურთაგან ევროპის ჩემპიონატის პრიზიორებმა ზაალ კვაჭატაძემ (69ძ, ჯაბა ხოსიტაშვილმა (75ძ, მიხეილ ბახტიძემ (მძიმე წონაძ 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა კობა ფხაკაძემ (60ძ, ასევე, მიხეილ კაზანჯიანმა (49ძ, სევერიან ჭილაძემ (52ძ და იაგო კიზირიამ (81ძ მეორე წრე ვერ გადალახეს და უსაგზუროდ დარჩნენ.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# დღეს ფინალისტები გამოვლინდებიან

**საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში გამოდის. შარშან ზედა ეშელონში აღზევებამდე ერთი ბურთი არ ეყო — პორტუგალიასთან დამარცხდა ნახევარფინალში. წლეულს ჩვენი გუნდი (კაპიტანი ლალი ზერეკიძე) ბევრად უფრო ძლიერია,**



**რადგან მის შემადგენლობაში გამოდის მსოფლიო რეიტინგით პირველი ასეულის წევრი ანა ტატიშვილი.** მას მხარს უმშვენებენ სოფიო შაფათავა და სოფიო ქვაცაბაია, რომელმაც წლეულს სამი 10–ათასიანი ტურნირი მოიგო. ქართველი გოგონები ამჟამად ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში იმყოფებიან და ევროაფრიკული მე–2 ზონის B ჯგუფში ორი შეხვედრა მოიგეს. სტარტზე ჩვენებმა ნორვეგიას 3:0 სძლიეს: ქვაცაბაია — ჰედა ოდეგაარდი 6:4, 6:3, ტატიშვილი — ემა ფლოოდი 6:0, 6:0, ქვაცაბაია, შაფათავა — ულრიკე ეიკერი, ფლოოდი 6:7, 6:4, 6:4. მეორე წრეში ლატვია 2:1 დაამარცხეს: შაფათავა — ლიდა დეკმეიჯერი 2:6, 7:6, 6:1, ტატიშვილი — დიანა მარცინკევიცა 7:5, 6:2, ქვაცაბაია, შაფათავა — ლაურა გულბე, მარცინკევიცა 6:7, 3:6, B ჯგუფში ასევე ორი გამარჯვება იზეიმა თურქეთის ნაკრებმა — ლატვიასთან (2:1ძ და ნორვეგიასთან (3:0ძ. A ჯგუფში ორ–ორი მოგებით პირველ–მეორე ადგილებს იყოფენ სამხრეთ აფრიკა და ჩერნოგორია. სწორედ ეს ოთხი ნაკრები იასპარეზებს დღეს ნახევარფინათლში. ფინალისტები გაისად პირველ ზონაში ითამაშებენ.

**ლექსო ცინცაძე**

პროფესიული კრივი

# რინგზე ქალებიც გამოჩნდნენ

**ვერის ბაღში საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის (პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი) ინიციატივით ყოველთვიურად ეწყობა სარეიტინგო ორთაბრძოლები, რომლებშიც გამოცდილ ათლეტებთან ერთად დებიუტანტებიც მონაწილეობენ. ბოლო დროს რინგზე ქალებიც გამოჩნდნენ**. მორიგ ტურნირში თბილისელი სოფო ფუტკარაძე გორელ მარი ტატუნაშვილს შეხვდა. დაძაბული პაექრობა დამთავრდა ფრედ — 40:40. დანარჩენი შეხვედრები: ჯაბა კაკულია (ზუგდიდიძ — მიხეილ წითლანაძე (ბორჯომიძ 39:39, პაატა ადუაშვილი (გორიძ — ლაშა სამსონაშვილი (დუშეთიძ 40:37. ანზორ გამგებელმა (ვარიანიძ და გიგა ლაბაძემ (ბორჯომიძ მე–2 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით აჯობეს კოტე კურტანიძესა (ახალციხეძ და გოჩა მჭედლიშვილს (თბილისიძ.

27 აპრილს ბელგიური გენტის რინგზე გორელი გიორგი თევდორაშვილმა (85ძ და ფოთელი დავით მაკარიძე (69ძ მასპინძლებს — ისმაილ აბდულსა და ჯექსონ ოსეი ბონსუს დაუპირისპირდებიან.

ჭადრაკი

# მეორე ადგილს დასჯერდა



**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრმა ბელა ხოტენაშვილმა ამას წინათ ევროპის ქალთა ჩემპიონატზე მე–9 ადგილი დაიკავა და მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.**

ამ დღეებში კი ხოტენაშვილმა ჩინეთში ქალთა მე–2 საერთაშორისო წრიულ ტურნირზე მოსინჯა ძალები. მთავარი ჯილდოსთვის (საპრიზო ფონდი 215.000 იუანიძ რვა მასპინძელთან ერთად ბელა და უკრაინის ნაკრების წევრი მარია მუზიჩუკიც იბრძოდნენ. ქართველი დიდოსტატი მთელი შეჯიბრების განმავლობაში მეწინავეთა შორის იმყოფებოდა. ბოლო ტურში ჩვენებური ტურნირის რეიტინგფავორიტ ცზიუ ვენძიუნს დაუზავდა, მოაგროვა 6 ქულა და მეორე ადგილზე გავიდა. პირველი ადგილი გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონმა ჟაო სიუმ დაიკავა — ბოლო ტურში თანამემამულე დინ ისინი დაამარცხა და ხოტენაშვილს ნახევარი ქულით გაუსწრო. მომდევნო ადგილები ერგოთ: თან ჟონს, ცზიუ ვენძიუნს — 5-5, ჟან სიაოვენს, ჰუან ქიანს — 4,5-4,5, მარია მუზიჩუკს, დინ ისინს — 4-4, გუ სიაობინს — 3 და შენ იანს — 2,5 ქულა.

**ლაშა დიდია**

64 უჯრა

# III. ლაზიერი

**შორეულ წარსულში (სპარსეთში მოპოვებული წყაროებით XII საუკუნეში — თ. შ.) ჭადრაკის თამაშის წესები არსებითად განსხვავდებოდა თანამედროვესაგან. ლაზიერი მხოლოდ მეზობელი უჯრის დიაგონალზე, კუს მსგავსად მოძრაობდა.** იგი არასდროს უპირისპირდებოდა განსხვავებული ფერის ფიგურას და ამით მეფეს საშუალებას აძლევდა საწინააღმდეგო ფერის უჯრაზე ეპოვნა ნავსაყუდელი. ერთი სიტყვით, ლაზიერი „უსაქმურ“ ფიგურას წარმოადგენდა.

ევოლუციური ცვლილებებისას, უცნობმა რეფორმატორებმა ლაზიერს მიანიჭეს ეტლის და კუს ერთობლივი ფუნქციები. ამრიგად, ლაზიერი მრისხანე ფიგურად გარდაიქმნა.

ნათქვამია, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. საილუსტრაციოდ გთავაზობთ საჭადრაკო რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ლეგენდარული ანდერსენის (1818-1879ძ პარტიის დაბოლოებას უცნობ მოჭადრაკესთან, ერთდროული თამაშის სეანსის დროს.

**1872**



**მხედრის მიერ გატყუებულმა პაიკმა ლაზიერს საშუალება მისცა დაეშამათებინა მეტოქე.**

1. ...ეg2+! 2. ე:g2–ლf1+
3. ეg1–მg3+! 4. hg–ლh3X

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

ფეხბურთი

# ხომ არ აჩქარდით?



**მას შემდეგ, რაც „ბილბაომ“ ევროპის ლიგის გათამაშებიდან „მანჩესტერი“ და „შალკე“ გამოთიშა, ბასკური კლუბი ლამის ყველა ტურნირის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნია, მაგრამ თურმე არც მთლად მასე ყოფილა საქმე.**

მარსელო ბიელსას გუნდმა თავისი ერთ-ერთი ლიდერის, მსოფლიოს ჩემპიონ ხავი მარტინესის არყოფნაში ჯიგრიანად დაიწყო პირველი ნახევარფინალური მატჩი ლისაბონში და შეტევაში ჩართული მარცხენაფლანგელის აუტონეჩეს ძალისხმევით დაწინაურდა კიდეც. მალე ამორებიეტამ ახლოდან ბურთი პორტუგალიელთა კარის ძელს მოარტყა და მაშინ, როცა ჰაერში ესპანური ფინალის სუნი დატრიალდა, „სპორტინგი“ ზუსტად მაშინ აფეთქდა: ჯერ უნსუამ გაათანაბრა ანგარიში კურიოზული თავურით, ხოლო საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე „სევილიიდან“ მეზობლებში გადაბარგებულმა კაპელმა შორეული გასროლით დაამწუხრა თანამემამულენი — 2:1.

ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება ორრაუნდიანი დუელი, თუმცა იმის პროგნოზირება კი დღესვე შეგვიძლია, რომ „სან მამესზე“ კიდევ უფრო ფიცხი ბრძოლა გაჩაღდება.

**„ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 4:2 (1:1).**

**გოლები:** ფალკაო (2ძ, ანდრიანი, მირანდა; ჟონასი, რამი.

**საპასუხო შეხვედრები 26 აპრილს მოეწყობა.**

**გიორგი შოთაძე**

ვარსკვლავი

# რეკორდსმენი რონალდუ



**მსოფლიო ფეხბურთის ვარსვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ კიდევ ერთი შესწორება შეიტანა მადრიდის „რეალის“ რეკორდების წიგნში.**

ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის ბოლო თამაშში, რომელიც „რეალს“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ჰქონდა, მან სამი გოლი გაიტანა და შედეგიანი გადაცემაც მიითვალა, რამაც სამეფო კლუბს ანგარიშით 4:1 გამარჯვება მოუტანა. ამრიგად, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „რეალმა“ „ბარსელონასთან“ ოთხქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა და ბევრი რამ დღეს გასამართ „ელ კლასიკოს“ დროს გაირკვევა, როგორც ესპანეთში ამ ორი სუპერკლუბის დაპირისპირებას უწოდებენ.

მეტად შთამბეჭდავია კრიშტიანუ რონალდუს პირადი სტატისტიკა, რომელმაც სეზონში მეშვიდე ჰეთ-თრიკი შეასრულა, რითაც პრიმერა-დივიზიონის რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, იგი ბომბარდირთა პაექრობაში ლიონელ მესის გაუთანაბრდა: ისინი 40-40 გატანილი გოლით ლიდერობენ. აღსანიშნავია, რომ შარშან ეს მაჩვენებელი რონალდუს „ოქროს ბუცის“ მისაღებად ეყო, რომელსაც ევროპაში სეზონის საუკეთესო გოლეადორს ანიჭებენ. წლეულს კი მას ამ მიღწევის ბევრად გაუმჯობესების შანსი აქვს, რადგან ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ექვსი ტურია დარჩენილი. მთლიანად კი კრიშტიანუ რონალდუმ ამ სეზონში ყველა ტურნირის 47 შეხვედრაში (პრიმერაში, ჩემპიონთა ლიგაში, სამეფო თასისა და სუპერთასის გათამაშებებშიძ 52 გოლი გაიტანა.

**ირმა ირემაშვილი**

SIC!

# 300 ლირად გაყიდული ქართველები

## ბათუმში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია თურქეთში სამუშაოდ მყოფი ქართველების შესახებ სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს



**ბათუმში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო – კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ თურქეთში მყოფი ქართველების სამუშაო პირობების შესახებ სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს და აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს რიგ ფაბრიკა-ქარხნებში მონურ პირობებში ამუშავებენ.**

„სოციალური ქსელის საშუალებით თურქეთში მყოფი ქართველები დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მათი მდგომარეობით დავინტერესებულიყავი. რასაკვირველია, დაინტერესება გამოვთქვი და ვითარების გასარკვევად თურქეთში წასვლა და ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტე. მომცეს ვინმე „თენგოს“ ტელეფონის ნომერი, რომელიც, როგორც ქართველებმა მითხრეს, სტამბოლში ჩვენი თანამემამულეების გაყიდვით არის დაკავებული – არაფორმალური საწარმოების ხელმძღვანელებთან თითოეულ მიყვანილ ქართველში მას 250-300 ლირამდე უხდიან. სტამბოლში ჩასვლისას იქ „თენგოს“ წარმომადგენელი დამხვდა, რომელმაც ერთ-ერთ საწარმოში მიმიყვანა და 250 ლირად გამყიდა. ეს ჩემთვის შოკი იყო“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ცენტრის ხელმძღვანელმა მერაბ ლოლობერიძემ, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, საწარმოს ტერიტორიიდან დიდი ძალისხმევის შედეგად გამოაღწია.

მისივე განმარტებით, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართველების ყოფა გაუსაძლისია – მათ საკვებს მხოლოდ დღეში ერთხელ აძლევენ და იატაკზე სძინავთ.



„ძალიან გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდა ბიჭები შუაღამემდე მუშაობდნენ. შემდეგ მითხრეს, რომ დამსაქმებლები მათ თეთრ „ტაბლეტს“ აძლევენ, რომელსაც ჩაიში ხსნიან და დალევის შემდეგ მოზღვავებულ ენერგიას გრძნობენ. რამდენიმე დღეში მეც ვთქვი, რომ ძალიან ვიღლებოდი და წელის ტკივილი მქონდა. სხვების მსგავსად მეც ეს „ტაბლეტი“ მომცეს“, – აღნიშნა ლოლობერიძემ.

მისივე თქმით, ზოგს წამოსვლის სურვილი აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ დამსაქმებლები პასპორტებს ართმევენ და სამუშაო საათების შემდეგ ხშირად საწარმოში კეტავენ, ტრეფიკინგისა და შეიძლება ითქვას, რომ მამლუქობიდან თავის დახსნას ველარ ახერხებენ.

„სანამ დამსაქმებლები იმ თანხას არ ამოიღებენ, რასაც თითოეული მუშის მიყვანისთვის იხდიან, იქამდე საწარმოს დატოვების უფლებას არავის აძლევენ. ზოგიერთს ქართული მენტალიტეტის გამო რცხვენია წამოსვლა და ახლობლებისთვის იმის გამხელა, თუ რა პირობებში უწევთ ცხოვრება“, – განაცხადა „საქართველო – კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა.

მერაბ ლოლობერიძემ არსებული ვითარების შესახებ ბათუმში თურქეთის საკონსულო საქმის კურსში უკვე ჩააყენა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების რეაგირებასაც ელოდება.

ნოდარ როგავას გახსენება

# მუდამ გვემახსოვრები



შენმა უეცარმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი დაგვიტოვა თითოეულ ჩვენგანს.

მოულოდნელად ხელიდან გამოგვეცალე კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი. ნუგეშად მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ შენისთანები არ კვდებიან, უბრალოდ, ამ წუთისოფლიდან სამუდამო განსასვენებელში გადადიან.

**ნოდარ როგავა** – როგორი იმედით და რწმენით სავსე იყო ეს ლამაზი სახელი და გვარი ჩვენთვის.

შენ იყავი ჩვენი კოლექტივის ღირსეული თავკაცი. გაფასებდით, როგორც შრომისმოყვარეს, ინიციატივიანს, ყველასა და ყველაფერზე მზრუნველს. მტერსა და მოყვარეს თანაბრად უნაწილებდი სითბოსა და პატივისცემას. დიდთან დიდი იყავი, პატარასთან – პატარა.

შენს დაულალავ ენერგიას, ნებისყოფას, თავდადებას და მონდომებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დევნილობის დროს სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი არ დაიშალა, პირიქით, უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა.

შენ ჩვენთვის ცრემლნარევი მონატრება ხარ.

გვახსოვხარ და მუდამ გვემახსოვრები.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

სოხუმის მრავალდარგოვანი კოლეჯის
(ინდუსტრიული ტექნიკუმის) თანამშრომლები

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს თამარ შაიშმელაშვილს ბიძის

**გივი შაიშმელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ლილი, რევაზ ტყემალაძეები შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბიძაშვილის

**იზა გუნიავა-ჭაჭიაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

მაყვალა გონაშვილი, იზა ჯაჭვაძე, ბალათერ არაბული, კობა არაბული იუწყებიან, რომ ბატონ კობა ბუჩუკურს გარდაეცვალა დედა

**ნინო კობაიძე-ბუჩუკური**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს. დაკრძალვა ფასანაურში 21 IV, 14 სთ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს კობა ბუჩუკურს დედის

**ნინო კობაიძე-ბუჩუკურის**

გარდაცვალების გამო.

---

განცხადება

## სს „ყაზბეგის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „ყაზბეგის“ დირექცია იწვევს სს-ის აქციონერებს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2012 წლის 3 მაისს, დღის 12 საათზე, ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №6-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ყაზბეგის“ კუთვნილი მატერიალური ფასეულობების იჯარით გაცემის საკითხის განხილვა;
2. ვალდებულებების უზრუნველსაყოფად სს „ყაზბეგის“ კუთვნილი ქონების უფლებრივად დატვირთვის საკითხის განხილვა;
3. სს „ყაზბეგის“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შესახებ;
4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექციაში, ტელ.: (0341ძ – 25-61-34; (0341ძ – 25-61-24;

საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების საალრიცხვო დღისათვის – 2012 წლის 20 მარტი.

ქ. რუსთავის სს „ყაზბეგის“ ადმინისტრაცია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ჩვენი კარაბადინი

# ჩვენ კი მარცხნივ წავალთ...

**რატომ არის, რომ წყვილი, რომელიც ცხოვრობს, პირველი შეხედვით, მყარი და საიმედო ქორწილით, ღალატობს ერთმანეთს?**

### გამოუცნობი ინტიმი

**ქორწინებაც შეინარჩუნონ, გვერდითი კავშირებიც გამონახონ – არაერთგულ ცოლ-ქმარს თითქოს ორ სკამზე ჯდომა სურთ. როდესაც საუბარი ოჯახზეა, გასაგებია: მისი დანგრევა – მძიმე საქციელია თავისი შორს მიმავალი შედეგებით. მაშ, რაღა საჭიროა „მარცხენა ინტიმი“?**

გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, მოღალატეები – სულაც არ არიან სექსუალურად შეშფოთებული ადამიანები, ბევრს სავსებით ჰყოფნის „მარცხენა“ სექსი თვეში ერთი-ორჯერ. პარადოქსია, მაგრამ ქალების ნახევარი აღიარებს, რომ საყვარელთან ორგაზმი მათ აქვთ უფრო იშვიათად, ვიდრე ქმართან, თუმცა მოფერება უფრო მრავალფეროვანია. სექსოლოგები ამას ხსნიან იმით, რომ სიახლე მიმზიდველია მხოლოდ ახალგაზრდა ასაკში. 35 წლის და მით უმეტეს 40 წლის შემდეგ ორგაზმი ადვილად მიიღწევა იმ პარტნიორთან, ვისაც თქვენ უკვე შეეჩვიეთ.

### მიზეზები და შედეგები

**კონკრეტულად რა უბიძგებს ცოლ-ქმარს ღალატისკენ?**

**ქალებისთვის ეს არის კონფლიქტი ოჯახში, ქმრის მხრიდან უხეშობა, უპატივცემლობა, გულგრილობა. ქალებს შეუძლიათ „იარონ მარცხნივ“, რომ შური იძიონ ღალატისთვის და ქმრის სექსუალური გულგრილობისთვისაც კი. უფრო იშვიათ შემთხვევებში ინტრიგის მოწყობისკენ მათ უბიძგებს პირველი შეხედვით სიყვარული.**

მამაკაცებისთვის მიზეზი უფრო ხშირად ხდება ცოლთან სექსით დაუკმაყოფილებლობა და ახალ შეგრძნებათა წყურვილი. დიდ როლს ასრულებს საზოგადოებაში გავრცელებული რწმენა, რომ მამაკაცს თავისი ფიზიოლოგიით აქვს მიდრეკილება რამდენიმე ქალისადმი.

ამ დროს ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ არაერთგულ ცოლებსა



და ქმრებს შორის არის ძირეული განსხვავება, მოღალატე მამაკაცი, როგორც წესი, ძველებურად აფასებს და ეჭვიანობს ცოლზე. თუ ქალი წავიდა „მარცხნივ“, ეს ნიშნავს, რომ ის ქმარს უკვე პატივს აღარ სცემს და აღარ უფრთხილდება მას. რაც, სხვათა შორის, იმას როდი ნიშნავს, რომ ის მზადაა გაშორდეს მას.

### ცვლილებები არ არის საჭირო?

**საგულისხმო ფაქტი: ქალების მხოლოდ 13-დან 35 პროცენტამდე მისთხოვდებოდა საყვარელს, თუ ასეთი შესაძლებლობა იქნებოდა. 50 პროცენტს კი კატეგორიულად არ უნდა ქმრის გაცვლა „საყვარელ მეგობარზე“, ვისთანაც მას ღალატობს.**

აი კიდევ გასაოცარი მონაცემები – ისინი მოყვანილია გამოკითხვაში, რომელშიც რამდენიმე ათასი რესპონდენტი მონაწილეობდა. 51 პროცენტმა მიიჩნია, რომ ერთი მეუღლის ან ორივესიც კი ღალატი არ არის გაყრის საბაბი. 9 პროცენტმა საერთოდ განაცხადა, რომ გაყრა არანაირი მიზეზით არ არის საჭირო.

ამ დროს მოღალატეებისადმი უფრო მომთმენები არიან ისინი, ვინც თავად ღალატობს (მათ შორის გაყრით მეორე ნახევრის ღალატის გამო იმუქრება მხოლოდ 7 პროცენტიძ. რაც საერთოდ ლოგიკურიცაა: მათ თავადაც „ერთი ადგილი დასვრილი აქვთ“.

ელენა დრევინა

ЗДОРОВЬЕ

სულიერება

# აღდგომიდან მეორე, მოციქულ თომას კვირიაკე. აღდგომის განახლება კვირაცხოვლობა — დღესასწაული სიცოცხლისა



**22 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, რომელსაც ეწოდება ახალი კვირა, აღდგომიდან მე-2, თომას კვირა.**

...აღდგომის ღამეს თომას გარდა ყველა მოციქულმა ნახა იესო ქრისტე. თომა გვიან მოვიდა, მოწაფეებმა უთხრეს: „ჩვენ ვნახეთ უფალი!“ მაგრამ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ, თომაც მათთან ერთად იყო. იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა და უთხრა: „მშვიდობა თქვენ“, მერე კი თომას მიმართა: „...მომეცი აქ შენი თითი და გასინჯე ხელები ჩემი, მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი „მორწმუნე“.

თომამ შეჰღაღადა: „...უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. იესომ უთხრა: „შენ ირწმუნე, რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც არ მიხილეს და ირწმუნეს“.

მოციქულ თომას კვირას დღესასწაულზე ლიტურგიაზე იკითხება სახარების სათანადო მონაკვეთი.

საქართველოში ძველად კვირაცხოვლობის დღეს მლოცველები დილაადრიან ანჩისხატის ეკლესიასთან მოასვენებდნენ ხატს, წირვა-ლოცვის შემდეგ კი იმართებოდა სახალხო დღესასწაული — სანახაობა, ჯირითი, ცეკვა-თამაში და სხვა.

...ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში პატარა მაგიდაზე დადებული საგანგებოდ გამომცხვარი პური „არტოსი“ განსაკუთრებულ მადლს იძენს ტაძარში“, რომელსაც მორწმუნეებს კვირაცხოვლობას ურიგებენ. არტოსი კურნავს სულს და ხორცს.

**გიული ლიპარტია**

დაიჯესტი

## პაპის არომატი

**რომის პაპი ბენედიქტე XVI პეწენიკობით ცნობილი პიროვნებაა — მის სამოსს, ქუდებსა და ფეხსაცმელს სპეციალური დაკვეთით რომის საუკეთესო მოდელიერები კერავენ. ბრიტანული გაზეთის „გარდიანის“ ცნობით კი კათოლიკური ეკლესიის მთავარ მღვდელმსახურს ასევე საკუთარი პარფიუმიც გაუჩნდა.**

პაპისთვის საგანგებო პარფიუმი ცნობილმა იტალიელმა ქალბატონმა სილვანა კაზოლიმ შექმნა, რომლის მუდმივ კლიენტებს შორის ასევე არიან ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, მომღერლები მადონა, სტინგი, სხვები.

ახალ ოდეკოლონზე ლაპარაკისას სინიორა კაზოლი აშკარად ფრთხილობს, რასაც პაპის წარმომადგენლებთან დადებული კონტრაქტის კონფიდენციალობის პუნქტით ხსნის. ამდენად, ახალი ოდეკოლონის შესახებ მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მის საფუძველს „პონტიფიკოსის ბუნებისადმი სიყვარული წარმოადგენს“. ცნობილია, რომ „პაპის არომატში“ ერთმანეთს ლაიმის, მინდვრის ბალახისა და ვერბენას სურნელებია შერეული.

ვატიკანში სილვანა კაზოლის ყურადღება მას შემდეგ მიაქციეს, რაც პარფიუმერია ესპანეთის ქალაქ სანტიაგო-დე-კომპოსტელას მომლოცველთათვის შექმნა. იქაური საყდრის მღვდელმსახურებს იმდენად მოეწონათ მის მიერ შექმნილი „რწმენის წყალი“ და „იმედის წყალი“, რომ მათ ისინი პაპას მიართვეს. სილვანა კაზოლის ნიჭი და უნარი თავად პონტიფიკოსმაც ჯეროვნად დააფასა და სილვანა კაზოლის პერსონალური ოდეკოლონი შეუკვეთა.

## აპოკალიფსის მოლოდინში

**დამანგრეველი მიწისძვრები, ცუნამი და მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროება, ყინვები, გვალვები, წყალდიდობები, არაბეთის რევოლუციები, ამბოხი და სამოქალაქო ომები... იქნებ, მართლაც მოახლოვდა განკითხვის დღე?**

როგორც ჩანს, ასე ფიქრობს არაერთი ამერიკელი და სწორედ ამიტომაა, რომ ქვეყანაში მიწისქვეშა თავშესაფრების გაყიდვა 1000 პროცენტით გაიზარდა! კომპანია „ნორდვესტ შელთერ სისტემსმა“, რომელიც ბუნკერებს 200 ათასიდან 20 მილიონ დოლარამდე ფასად ყიდის, გაყიდვათა რიცხვი 70 პროცენტით გაზარდა მას შემდეგ, რაც აფრიკის ჩრდილოეთის ქვეყნებში — ლიბიაში, ეგვიპტეში, სირიაში — არეულობები დაიწყო, იაპონიაში კი მიწისძვრა მოხდა, რომელსაც მოყოლილმა ცუნამიმ მაცუსიტას ატომური ელექტროსადგური დააზიანა. მოკლე დროში კომპანიამ 12 მიწისქვეშა თავშესაფრის აშენების შეკვეთა მიიღო, როცა ჩვეულებრივ წელიწადში იგი მხოლოდ ოთხს აშენებდა. კომპანია „ანდერგაუნდ ბომბ შელთერსს“ კი, რომელიც პორტატულ მიწისქვეშა თავშესაფრებს ყიდის, დაკვეთების პორტფელი მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შემდეგ გაყიდვები 400 პროცენტით გაეზარდა. განსაკუთრებული მოთხოვნით კი კარვები სარგებლობს, რომლებიც ხალხს ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური ზემოქმედებებისგან იცავენ და სულ 9,5 ათასი დოლარი ღირს.

ანეკდოტები

— **მამიკო**, მეგობარს რომ უჭირდეს, ხომ უნდა დავეხმარო?

— კი, შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?

* * *

— **რატომ** არის ეს მინისტრი ასე იდიოტად გამოყვანილი, რისი თქმა უნდოდა ამით რეჟისორს?

— კაცო, ეს ფილმი კი არ არის, ახალი გადაცემაა, პირდაპირ ეთერში...

* * *

**ბავშვი** ინტერესით აკვირდება, თუ როგორ ჩააქვთ მურაბები სარდაფში.

— სად მიგაქვთ? — კითხულობს ნერწყვმომდგარი.

— სარდაფში. მერე ზამთარში შევჭამთ.

— კი მაგრამ ზამთარი ხომ იყო უკვე?

* * *

— **შენი** რძალი კარგი დიასახლისია?

— აბა, როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.

* * *

— **შენ** ცხენების გეშინია?

— არა!

— იმათ შენი?

* * *

— **ჩვენი** ფირმა მოლარეს ეძებს.



— ხომ აიყვანეთ მოლარე ერთი კვირის წინათ?

— აი სწორედ მაგას ვეძებთ.

* * *

— **ბიჭუნა**, სად იშოვე ბილეთი ასე ძვირად ღირებულ მატჩზე?— ეკითხებიან პატარას სტადიონის შესასვლელში.

— მამაჩემმა იყიდა.

— თვითონ სად არის?

— სახლში. ბილეთს ეძებს...

* * *

**კარზე** ზარია:

— გამარჯობა! მე თქვენი მეზობელი ვარ.

— ზემოდან თუ ქვემოდან?

— რა... ეგრე პირდაპირ?

* * *

— **რატომ** წახვედით პოლიტიკაში?

— აბა, შეხედეთ, რა ხდება — მთავრობა მარტო თავის თავზე ფიქრობს, განცხრომაშია, ფუფუნება, კორუფცია, უსაქმურობა...

— და თქვენ გინდათ ყველაფერ ამას ებრძოლოთ?

— არა, მე ყველაფერ ამაში მონაწილეობა მინდა.

* * *

— **თქვენმა** ძაღლმა მიკბინა. მე კომპენსაციას მოვითხოვ!

— კი ბატონო! მე დავაკავებ და თქვენ უკბინეთ.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ცოლის გინებისთვის შეიძლება დაგაჯარიმონ, ცემისთვის — დაგაპატიმრონ

ახალი საკანონმდებლო ინიციატივით ოჯახური ძალადობა სისხლისსამართლებრივად დაისჯება. ინიციატივის ავტორი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რუსუდან კერვალიშვილია. მისი თქმით, ოჯახური ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადება, დადებით შედეგს აუცილებლად მოიტანს. ინიციატივას ექსპერტებიც დადებითად აფასებენ, თუმცა ისინი იმასაც ამბობენ, რომ მოძალადის ციხეში ჩასმა პრობლემას მთლიანად ვერ მოაგვარებს. ამის პარალელურად, სხვადასხვა სახის ფსიქო-რეაბილიტაციური პროგრამების ამოქმედებაცაა საჭირო.

„რეზონანსი“.

### „სააკაშვილს ეს აღარ გამოუვა!“

— აცხადებს ზუგდიდში გადაბარგებული ირაკლი ალასანია და ინტერვიუში იმასაც სცემს პასუხს, იქნება თუ არა იგი „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, აწყობს თუ არა შეთქმულებას ივანიშვილის კარზე და დადის თუ არა ოლიგარქის ნაჩუქარი „ჯიპით“.

„ვერსია“.

### სააკაშვილის დედას საჯარო რეესტრის შენობა 1 ლარად მიჰყიდეს

სიმბოლურ ფასად — 1 ლარად შარშან აჭარაში ათობით ობიექტი გაიყიდა. 2011 წლის 5 დეკემბერს აჭარის მთავრობამ ბათუმში, ჯავახიშვილის 5-ში (საჯარო რეესტრის ყოფილი შენობაძ მდებარე 1556 კვ.მ. ტერიტორია პრეზიდენტის დედის გიული ალასანიას მფლობელობაში არსებულ „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას“ სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად მიჰყიდა. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა 500 000 ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და 12 თვეში დაამთავროს სკოლის მშენებლობა.

„ახალი თაობა“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24